საბოლოო ანგარიში

ეკოტურიზმის ექსპერტიზის ტენდერი

კონტრაქტის ნომერი BSB/79 - FCE 17





ანგარიში მომზადდა „შავი ზღვის აუზში ეკოტურიზმის ქსელის განვითარების“ პროექტის ფარგლებში /ECOTOUR-NET/BSB 79. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის ENI Joint Operational Programme CBC Black Sea Basin 2014-2020 მიერ.

მოამზადა:

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“

დამკვეთი:

ფონდი კავკასიის ეკოლოგია

სარჩევი

1. შესავალი და ზოგადი ინფორმაცია 3
2. მეთოდოლოგია 5
3. შერჩეული ეკოტურისტული ლოკაციების ანალიზი 8
3.1 საფეხმავლო ბილიკები 8
3.1.1 ონიორეს ჩანჩქერზე მიმავალი საფეხმავლო ბილიკი / ფრინველებზე დასაკვირვებელი კოშკურა 9
3.1.2 წაჩხურუს ჩანჩქერის და ტბის ბილიკი 17
3.2 საველოსიპედო ბილიკები 21
3.2.1 მარტვილის ცენტრი - მარტვილის კანიონი ველობილიკი 22
3.2.2 მარტვილის კანიონი - კაღუს ჩანჩქერი ველობილიკი 23
3.3 ეკოსაგანმანათლებლო ბილიკები 24
3.3.1 ბალდის მონასტერი - კაღუს ჩანჩქერი ეკოსაგანმანათლებლო ბილიკი 24
3.3.2 წაჩხურუს მონასტერი - წაჩხურუს (ხირზენის) ჩანჩქერი ეკოსაგანმანათლებლო ბილიკი 27
4 ბილიკების მანიშნებლები 29
5 ზეპირსიტყვიერება სამეგრელოში 31
6 დანართები 43
დანართი 1: ონიორეს ჩანჩქერის ბილიკი: 43
დანართი 2: წაჩხურის საფეხმავლო ბილიკი 48
დანართი 3: ველო ბილიკი #1 53
დანართი 4: ველო ბილიკი: 57
დანართი 5: ბალდა-კაღუს ეკოსაგანმანათლებლო ბილიკი: 61
დანართი 6: წაჩხურის ეკოსაგანმანათლებლო ბილიკი 67
დანართი 7: რეკრეაციული ადგილი 1 72
დანართი 8: რეკრეაციული ადგილი 2 74
დანართი 9: რეკრეაციული ადგილი 3 76
დანართი 10: რეკრეაციული ადგილი 4 78
დანართი 11: რეკრეაციული ადგილი 5 80
დანართი 12: ფრინველებზე დასაკვირვებელი კოშკურა 84
დანართი 13: მიმართულებები 88

1. შესავალი და ზოგადი ინფორმაცია

ბოლო წლების განმავლობაში, მსოფლიოში ეკოტურიზმი და მასთან დაკავშირებული აქტივობები გახდა ძალიან პოპულარული, რაც განაპირობა გარემოზე მასშტაბურმა ანთროპოგენულმა ჩარევამ და ხელუხლებელი არეალების სიმცირემ, რის გამოც ველურ ბუნებაში ვიზიტი უფრო მიმზიდველი გახდა. ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (The International Union for Conservation of Nature - IUCN) ოფიციალური განმარტებით, ეკოტურიზმი განისაზღვრება, როგორც მაღალი ეკოლოგიური პასუხისმგებლობის მოგზაურობა და სტუმრობა შედარებით ხელუხლებელ ბუნებრივ გარემოში, დასასვენებლად, სასწავლებლად, ბუნების შესაგრძნობად, რაც ხელს უწყობს ბუნების კონსერვაციას და აქვს დაბალი ტურისტული ზეგავლენა. შესაბამისად, ეკოტურიზმი განსხვავდება ჩვეულებრივი სახის ტურიზმისგან და წარმოდგენილ ანგარიშში დაცული იქნება ეკოტურიზმის კონცეფცია. ასევე, გათვალისწინებული იქნება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება N475 - ტექნიკური რეგლამენტით – „საფეხმავლო ბილიკების გეგმარებისა და მონიშვნის შესახებ“ მოცემული მოთხოვნები და ნორმები.

საკვლევ ტერიტორიას წარმოადგენს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მდებარე მარტვილის მუნიციპალიტეტი. მარტვილის მუნიციპალიტეტი მდებარეობს ოდიშის დაბლობზე, ეგრისის ქედის მთისწინეთში და ქედის სამხრეთ კალთებზე, დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. მას ჩრდილოეთით ესაზღვრება ლენტეხის, აღმოსავლეთით ცაგერის და ხონის, სამხრეთით აბაშის და სენაკის, დასავლეთით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტები. საჯარო რეესტრის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 930 კვ.კმ-ს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოდგენილია ულამაზესი ბუნება, კარსტული რელიეფით, გამოქვაბულებით, ჩანჩქერებით და უნიკალური ბიომრავალფეროვნებით. ტერიტორიაზე წარმოდგენილია 7 დაცული ტერიტორია ბუნების ძეგლის სტატუსით (ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის - (IUCN) დაცული ტერიტორიების III კატეგორია) ესენია - მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლი, ბალდის კანიონის ბუნების ძეგლი, ტობის ჩანჩქერის ბუნების ძეგლი, ონიორეს ჩანჩქერის ბუნების ძეგლი, ოჩხამურის ჩანჩქერის ბუნების ძეგლი, აბაშის ჩანჩქერის ბუნების ძეგლი და ჯორწყუს მღვიმე. ბუნების ძეგლის ფუნქციას წარმოადგენს, ეროვნული მნიშვნელობის, შედარებით მცირე უნიკალური ბუნებრივი ტერიტორიებისა და იშვიათი ბუნებრივი და ბუნებრივ-კულტურული წარმონაქმნების დაცვა. ასევე, მარტვილის მუნიციპალიტეტს ფარავს სამეგრელოს გეგმარებითი ეროვნული პარკის არეალებიც და ზურმუხტის ქსელის საიტები. ყოველივე ზემოაღნიშნული, მარტვილის მუნიციპალიტეტში

არსებული ბუნების მაღალ კონსერვაციულ ღირებულებაზე და ეკოტურიზმის პოტენციალის მაღალ რესურსებზე მეტყველებს.

დაცული ტერიტორიები ეკოტურიზმის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს. მარტვილის მუნიციპალიტეტში ეკოტურიზმის განვითარების ერთ-ერთ თვალსაჩინო მონაკვეთს სწორედ მარტვილის კანიონი წარმოადგენს, რომელიც ევროპის საბჭოს ევროპის ლანდშაფტების კონვენციის ფარგლებში ჩატარებული კონკურსის გამარჯვებული გახდა, მისი წარმატებული მენეჯმენტის და მუნიციპალიტეტის განვითარების გამო. კანიონზე ვიზიტორთა რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს, რაც დადებითად აისახება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ასევე ვიზიტორთა დიდი რიცხოვნობა კარგის მომტანია ქვეყნისთვისაც. თუ გადავხედავთ ბოლო 3 წლის მარტვილის კანიონზე ვიზიტორთა სტატისტიკას, თვალსაჩინოა თუ როგორ ვითარდება ეკოტურიზმი მარტვილის მუნიციპალიტეტში.



დიაგრამა 1: 2016-2018 წლების ვიზიტორთა სტატისტიკა მარტვილის კანიონზე.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ვიზიტორთათვის, ასევე საინტერესოა სხვა ბუნების ღირსშესანიშნაობები, მათ შორის დაცული ტერიტორიის სტატუსის არ მქონე

მონაკვეთებიც, თუმცა მარტვილის კანიონთან შედარებით ვიზიტორთა რაოდენობა მრავალჯერ მცირეა სხვა არეალებში.

გარკვეული სახის მონაცემების ანალიზის შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტში მყოფი ტურისტების უმრავლესობა, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ ერთ დღიან ვიზიტორს წარმოადგენს, რომელიც ნახულობს მარტვილის მონასტერს, კანიონს და ტოვებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიას. ტურისტების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი რჩება სხვადასხვა ტიპის სასტუმროში ღამის გასათევად. ამის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ მუნიციპალიტეტში ჩამოსული ტურისტების დიდ ნაწილს არ აქვს სრული ინფორმაცია არსებულ ღირსშესანიშნაობებზე, რომელთა ნახვასაც აუცილებლად მოინდომებდნენ ინფორმაციის სწორად მიწოდების შემთხვევაში. ასევე, არ არის კეთილმოწყობილი სხვადასხვა ეკოტურისტული არეალები, არ არის მარკირებული ტურისტული ბილიკები და ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია ვიზიტორთა გადაადგილება გიდების გარეშე.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა განაპირობა, კავკასიის განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის (BSB79) “ეკოტურიზმის ქსელის განვითარება შავი ზღვის რეგიონში“ განხორციელება მარტვილის მუნიციპალიტეტში, რათა გარკვეული ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობამ განაპირობოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეტი ვიზიტორის მიზიდვა, ტურიზმის მდგრადი განვითარება ეკომეგობრულ გარემოში, ადგილზე მისული ვიზიტორთა გაჩერების დროის გახანგრძლივება, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვა დადებითი შედეგების მიღება როგორც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ასევე საქართველოს მასშტაბით.

მარტვილის მუნიციპალიტეტში ეკოტურიზმის განვითარებისთვის, აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაგეგმილია მოეწყოს 2 საფეხმავლო, 2 შემეცნებითი და 2 საველოსიპედო ბილიკი. ასევე, მოეწყოს რეკრეაციული ადგილები და ფრინველთა დასაკვირვებელი კოშკურა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდა ლოკაციების იდენტიფიცირება საველე და კამერალური სამუშაოების შედეგად, სამომავლოდ იგეგმება წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე, ადგილზე ინფრასტრუქტურის მოწყობა.

2. მეთოდოლოგია

მარტვილის მუნიციპალიტეტში, ბილიკების და ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის არეალების შერჩევისა და დაგეგმვის სამუშაოები განხორციელდა 2019 წლის აგვისტოსა და სექტემბერში. ამ მიზნით ჩატარდა შეხვედრები მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან და ტურიზმის ექსპერტებთან.

შეხვედრების დროს რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა გამოიკვეთა. ბილიკები არ არის მარკირებული, ინფრასტრუქტურა მოუწყობელია და, ხშირად, გიდების გარეშე ბილიკებზე გადაადგილება შეუძლებელია.

ტურისტული სერვისების მიმწოდებლებთან ინტერვიუების დროს მსგავსი პრობლემები გამოიკვეთა, რის გამოც ჩამოსული ტურისტები მხოლოდ ერთი დღით სტუმრობენ მარტვილს და ღამეს არ ათევენ. ამავე დროს გამოიკვეთა იმისი პოტენციალიც, რომ ინფორმირების შემთხვევაში სტუმრები შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩნენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

პროცესში, დიდი როლი ითამაშა გეოინფორმაციულმა სისტემებმა (ArcMap 10.7), რომელშიც საველე გასვლამდე დაიგეგმა გარკვეული სახის მარშრუტები, როგორც მაღალი გარჩევადობის ორთო ფოტოების დახმარებით, ასევე ციფრული სიმაღლითი მოდელის (DEM), ტოპოგრაფიული რუკების, სხვა საბაზისო რუკების და გეოსივრცითი მონაცემების საშუალებით. კვლევის პროცესში ასევე დიდი როლი ითამაშა ლიტერატურის ანალიზმა, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, დაცული ტერიტორიების სააგენტოს, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის და სხვა ორგანიზაციების მონაცემებმა. უმნიშვნელოვანესი იყო ადგილობრივი მოსახლეობისგან, ექსპერტებისგან ინფორმაციის მოგროვება. შემდგომში, აღნიშნული ინფორმაციების ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა საკვანძო არეალები, რომლის დათვალიერებაც მოხდა ველზე. საველე გასვლებისას სისტემატიურად იკვეთებოდა ახალი ფაქტორები, რის გათვალისწინებითაც დაიხვეწა შერჩეული არეალების ლოკაცია, და შეირჩა საუკეთესო მონაკვეთები.

კვლევის პროცესში, საფეხმავლო ბილიკების მოსაწყობად, მარტვილის მუნიციპალიტეტში, საკმაოდ ბევრი ტერიტორია გამოიკვეთა. გაანალიზდა თითოეული ალტერნატივა, რომლებიც განსხვავდებოდნენ როგორც სირთულით, მანძილით, მარშრუტის სახეობა (გამჭოლი, ცალმხრივი, წრიული) ასევე ბილიკის მიმდებარედ არსებული ბიომრავალფეროვნებით და რელიეფით, სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად. მარტვილის მუნიციპალიტეტში საფეხმავლო ბილიკების შერჩევისას, მრავალმა ალტერნატივამ განაპირობა საუკეთესო მონაკვეთების იდენტიფიცირება. შერჩეულ ბილიკებზე გადაადგილებისას მკაფიოდ გამოიკვეთა არეალები, რომლებზეც აუცილებელია რეკრეაციული ადგილების - საპიკნიკეების მოწყობა. ასევე შეირჩა პროექტით გათვალისწინებული ფრინველთა დასაკვირვებელი კოშკურისთვის განთავსების არეალი. იმის გათვალისწინებით, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტი არ წარმოადგენს გადამფრენ ფრინველთა მიგრაციის დერეფანს, და არ გამოირჩევა ორნითო ფაუნის მრავალფეროვნებით, ყურადღება გამახვილდა ისეთ მონაკვეთზე, სადაც შეინიშნება მტაცებელი ფრინველები, მათ შორის ჩანს ორბების საბუდარი ტერიტორიები. ასევე ყურადღება გამახვილდა პლატფორმიდან მხედველობის

არეალებზე, რაც მისული ვიზიტორთათვის სანახაობრივი და საინტერესო იქნება.

სურათი 1: ბილიკის ახლოს მდებარე საოჯახო სასტუმროს მონახულება

სურათი 2: მარტვილისა და ოკაცეს ბუნებრივი ძეგლების ადმინისტრაციასთან შეხვედრა

სურათი 3: ბილიკის ახლოს მდებარე ვაკოს ქოხი

ანგარიშის მეორე თავში წარმოგიდგენთ შერჩეული თითოეული მონაკვეთის დეტალურ აღწერას, ფოტომასალას, სივრცით მონაცემებს და ყველა საჭირო ინფორმაციას რაც სამომავლოდ პროექტის განხორციელებისთვის იქნება საჭირო.

3. შერჩეული ეკოტურისტული ლოკაციების ანალიზი

3.1 საფეხმავლო ბილიკები

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ანგარიშში გათვალისწინებულია ტექნიკური რეგლამენტით – „საფეხმავლო ბილიკების გეგმარებისა და მონიშვნის შესახებ“ მოცემული მოთხოვნები და ნორმები. საფეხმავლო ბილიკის მოწყობისას, გათვალისწინებულია მუხლი 4, 4.1 პუნქტით გათვალისწინებული დებულება „საფეხმავლო ბილიკი – ბუნებრივ გარემოში გაკვალული ან გაუკვალავი საფეხმავლო გზა, რომელიც შესაძლოა გადიოდეს რელიეფის სხვადასხვა ფორმაზე. ბილიკი შეძლებისდაგვარად უნდა სცდებოდეს სამანქანო გზებს და მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებს, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ისინი წარმოადგენენ – დანიშნულების ადგილებს. საფეხმავლო ბილიკი სხვადასხვა სირთულისაა და იყოფა: მარტივ, საშუალო და რთულ კატეგორიად.“

3.1.1 ონიორეს ჩანჩქერზე მიმავალი საფეხმავლო ბილიკი / ფრინველებზე დასაკვირვებელი კოშკურა

საფეხმავლო ბილიკის დაგეგმვის პროცესში, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს ის, რომ ბილიკი სამომავლოდ იყოს ტურისტულად დატვირთული, რათა მოწყობილი ინფრასტრუქტურა და გაწეული ხარჯები არ იყოს უშედეგოდ დახარჯული. პირველი საფეხმავლო ბილიკის შერჩევის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ ბილიკის დასაწყისი ტურისტულად ძალზედ აქტიური ადგილი - მარტვილის კანიონი წარმოადგენს. კანიონზე მისულ ვიზიტორებს ექნებათ ინფორმაცია აღნიშნული მარშრუტის შესახებ, მანიშნებლებით და საინფორმაციო დაფებით. მარტვილის ცენტრიდან მარტვილის კანიონამდე 5,5 კმ გზის მონაკვეთია, ავტომობილის შემთხვევაში გზის დასაფარად 10 წუთია საჭირო. შესაბამისად, ბილიკის დასაწყისამდე მისვლა მოლაშქრეთათვის არ წარმოადგენს სირთულეს.



რუკა 1: ონიორეს ჩანჩქერისკენ მიმავალი ბილიკის სიტუაციური რუკა

შერჩეული პირველი სალაშქრო ბილიკი იწყება მარტვილის კანიონიდან და სრულდება ბალდის მონასტრის მიმდებარედ. გეგმარებითი ბილიკი წარმოდგენილია 16.2 კილომეტრი სიგრძით, რის დასაფარადაც საჭიროა დაახლოებით 10 საათი. იგი წარმოადგენს გამჭოლი სახის მარშრუტს, იწყება და სრულდება ორ სხვადასხვა დანიშნულების ადგილას და მისი დაწყება შესაძლებელია ორივე მიმართულებიდან.

ბილიკი არის საშუალო სირთულის რაც გულისხმობს შემდეგს - „ხასიათდება შედარებით უსწორმასწორო ლანდშაფტით, გაკვალული ან გაუკვალავი მონაკვეთებით, მცირე დახრის ფერდები, სადაც შესაძლებელია საჭირო გახდეს ხელების ან სალაშქრო ჯოხის გამოყენება ბალანსის შესანარჩუნებლად. ბილიკზე გადაადგილებისთვის საჭიროა ძირითადი სალაშქრო აღჭურვილობა და სალაშქრო უნარ-ჩვევები. ასევე რეკომენდებულია კოჭის დამცავი სალაშქრო ფეხსაცმლის გამოყენება“.

ბილიკის მინიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან წარმოადგენს 235 მეტრს, მაქსიმალური სიმაღლე - 720 მეტრს, საშუალო სიმაღლე - 459 მეტრია. მაქსიმალური დახრილობა 64.6%, საშუალო დახრილობა 11.4%

სიმაღლითი პროფილი 1: საფეხმავლო ბილიკის სიმაღლითი პროფილი

როგორც აღვნიშნეთ, ბილიკის საწყის წერტილს წარმოადგენს მარტვილის კანიონი და გრძელდება კანიონის ჩრდილო დასავლეთით, თავდაპირველად მიუყვება საავტომობილო ასფალტის გზას 810 მ. მანძილზე, ხოლო შემდგომ გადასახვევია სოფ. პირველ ბალდასთან და ბილიკი მიუყვება გრუნტის გზას მდინარე აბაშას მარცხენა სანაპიროზე სოფ. პირველ ბალდას დასახლებულ პუნქტებს, ჯამში 3500 მეტრის მანძილზე. სოფ. პირველი ბალდის დასასრულში, ბილიკის მიმართულებიდან დასავლეთით იწყება შედარებით ხელუხლებელი ბუნება და სრულდება დასახლებული პუნქტები. შემდეგ მონაკვეთზე ბილიკზე გადაადგილებაც შედარებით რთულდება, მატულობს დახრილობა და 3215 მეტრის მანძილზე მიუყვება ფერდობს. აღნიშნულ მონაკვეთზე, სოფელი პირველი ბალდიდან რომლიც არის 550 მ. ზღვის დონიდან ავდივართ 719 მეტრამდე, საიდანაც იშლება ულამაზესი პანორამული ხედი.

სურათი 4: ფოტო ბილიკის ერთ-ერთ უმაღლესი ადგილიდან (719 მ. ზრვის დონიდან)

აღნიშნული ლოკაციის შემდეგ, იწყება ფერდობი მცირედი დაქანებით (საშუალო დახრილობა 11.2 პროცენტიან), რომელსაც მივყავართ ტობას და ონიორეს ჩანჩქერის ბუნების ძეგლებისკენ. მცირე დაქანების დაღმართი გრძელდება 2050 მეტრის მანძილზე და სრულდება მდინარე ტობას ხეობაში, რომელიც წარმოიქმნება ტობას ჩანჩქერისგან. მდინარე ტობა აღნიშნულ მონაკვეთზე წარმოდგენილია მცირე ზომით, სიგანე არ აღემატება 3 მეტრს და სიღრმე 30 სანტიმეტრს. მდინარის გადაკვეთა მარტივად არის შესაძლებელი ფეხის დასველების გარეშე, როგორც ქვებზე დაბიჯებით, ასევე წაქსეული ხეების დახმარებით.

მდინარის მიმდებარე ლოკაციაზე შეირჩა რეკრეაციული ადგილი, სადაც მოეწყობა საპიკნიკე, და მოწესრიგდება არსებული საბანაკე ტერიტორია

სურათი 5: მდ. ტობა წაქცეული ხის (მურყანი) გადასასვლელით

მდინარის გადაკვეთის შემდეგ, საფეხმავლო ბილიკი მიუყვება საშუალოდ 26 პროცენტიანი დახრილობის აღმართს, რომელ მონაკვეთზეც გვხვდება ტობას ჩანჩქერისკენ გადასახვევი მონაკვეთი. მდინარიდან 580 მეტრის გავლის შემდეგ, შემაღლებულ ტერიტორიაზე შეირჩა ფრინველთა დასაკვირვებელი კოშკურის განსათავსებელი ტერიტორია, რომელიც ძირითადად გათვლილია მტაცებელ ფრინველებზე დასაკვირვებლად. ტერიტორიაზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან მობუდარ სახეობას წარმოადგენს ორბი, რომელიც ბილიკზე ყოველი ვიზიტის დროს შეინიშნებოდა. ფრინველთა დასაკვირვებელი პლატფორმა ასევე საუკეთესოა არეალების დასათვალიერებლად. გეგმარებითი კოშკურიდან გამოჩნდება ტობას ჩანჩქერი, რომელიც გადმოედინება კლდეში არსებული გამოქვაბულიდან, შესაბამისად, კოშკურიდან ფრინველებზე დაკვირვების გარდა შესაძლებელი იქნება ულამაზესი ხედებით დატკბობა. ფრინველთა დაკვირვების კოშკურიდან, საფეხმავლო ბილიკის ერთ-ერთ მთავარ ღირსშესანიშნაობამდე - ონიორეს ჩანჩქერამდე მისასვლელად სულ რაღაც 600 მეტრი რჩება. ჩანჩქერამდე დაახლოებით 200 მეტრში შეირჩა რეკრეაციული ადგილი, სადაც განთავსდება ორი საპიკნიკე, ასევე საპირფარეშო. აღნიშნულ მონაკვეთზე ამჟამადაც არსებობს უმარტივესი ინფრასტრუქტურა ქვებისგან მოწყობილი საცეცხლურების და მორების სახით, ანუ ვიზიტორთათვის ერთ-ერთ საუკეთესო

რეკრეაციულ ადგილს აღნიშნული მონაკვეთი წარმოადგენს და წარმოდგენილ მონაკვეთზე რეკრეაციული ინფრასტრუქტურის მოწყობა საუკეთესო ვარიანტია.

სურათი 6: ონიორეს ჩანჩქერის მიმდებარედ არსებული საპიკნიკე

ჩანჩქერამდე მისასვლელ მონაკვეთზე წარმოდგენილია ტიპური კოლხური ტყე, კოლხური ბზით და მაყვლის ქვეტყით. სამწუხაროდ ბზის მავნებელი სოკოს და პეპელას გამო, პრაქტიკულად გამხმარია ბზის მრავალწლოვანი ხეები და დაფარულია სუროს საფარით, ხავსის და ლიქენების დიდი ბიომასით. ხავსის ჭარბი რაოდენობა ერთ-ერთი საუკეთესო ინდიკატორია წარმოდგენილი მონაკვეთის ჰაერის სისუფთავის, ასევე ვიზუალურადაც დიდ ეფექტს ახდენს ვიზიტორზე წარმოდგენილი მცენარეული საფარი.



სურათი 7: ონიორეს ჩანჩქერამდე მისასვლელი ბილიკის მცენარეული უნიკალური საფარი

აღნიშნული მონაკვეთის გავლის შემდეგ, მოჩანს ონიორეს ჩანჩქერი, რომელიც მღვიმიდან გამოედინება და მისი სიმაღლე 67 მეტრს შეადგენს.

სურათი 8: ონიორეს ჩანჩქერი

ჩანჩქერის მონახულების შემდგომ, ბილიკზე ლაშქრობის გასაგრძელებლად, საჭიროა მდინარის მარჯვენა სანაპიროზე გადასვლა, რაც შესაძლებელია დასველების გარეშე, ქვებზე გადასვლის შემთხვევაში. ონიორეს ჩანჩქერზე გადასვლის შემდგომ, ბილიკი მიუყვება მდინარე ტობას მარჯვენა ნაპირს. ჩანჩქერიდან დაახლოებით 500 მეტრში გვხვდება მეორე ჩანჩქერი მდ. ტობაზე, რომლის დანახვაც შესაძლებელია 3 მონაკვეთებიდან განსხვავებული ხედებით.

სურათი 9: ონიორეს ჩანჩქერიდან 500 მეტრში არსებული მეორე ჩანჩქერი

ონიორეს ჩანჩქერიდან მოყოლებული, კლებულობს სიმაღლე ზღვის დონიდან, კაღუს ჩანჩქერამდე მისასვლელად დაახლოებით 3750 მეტრის გავლა არის საჭირო. აღნიშნულ მონაკვეთზე წარმოდგენილია უნიკალური ბიომრავალფეროვნება, რომლებიც წარმოდგენილია როგორც ფერდობებზე, ასევე მდინარე ტობას ხეობაში. ასევე ბილიკის მონაკვეთიდან იშლება პანორამული ხედები, საიდანაც მოჩანს ტობას ჩანჩქერი.



სურათი 10: გადასახედი, ტობას ჩანჩქერი

კაღუს ჩანჩქერამდე მისვლამდე 150 მეტრში, საჭირო ხდება მდინარე აბაშის გადაკვეთა, რისთვისაც საჭიროა წყალში გასვლა. წყლის სიმაღლე უმეტეს შემთხვევაში არ აღემატება 50 სანტიმეტრს და მარტივი გადასალახია, თუმცა აუცილებლია, ვიზიტორს მარშრუტზე გასვლამდე ქონდეს აღნიშნული ინფორმაცია, რათა თავიდან იქნას მოულოდნელობით გამოწვეული პრობლემები.

მდინარე აბაშის გადავლის შემდეგ, მივუახლოვდებით კაღუს (ჟუჟღას) ჩანჩქერს რომელიც განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევა. კაღუს ჩანჩქერი ხშირად მონახულებად ადგილს წარმოადგენს ზაფხულში, განსაკუთრებით ადგილობრივებისთვის, ჩანჩქერის მიმდებარედ წარმოდგენილია რეკრეაციული ადგილები, სადაც ვიზიტორს შეუძლეა პიკნიკი და ადგილობრივი კერძების დაგემოვნება.

სურათი 11: კაღუს ჩანჩქერი

კაღუს ჩანჩქერიდან ბილიკის ბოლომდე, რომელიც ბალდის მონასტრით სრულდება მიდის მარტივი გასავლელი, 1500 მეტრის სიგრძის გზა, გზის მარჯვენა მხარეს მდებარეობს ბალდის კანიონის ბუნების ძეგლი, რა დროსაც ვიზიტორს შეუძლია კანიონის მონახულება. საფეხმავლო ბილიკის საბოლოო ლოკაციად ბალდის მამათა მონასტერი და ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის არეალები შეირჩა მათი ისტორიულ-კულტურული ღირსშესანიშნაობიდან გამომდინარე. ასევე მონასტრამდე მიდის საავტომობილო გზა ასფალტის საფარით, რაც გაუადვილებს ბილიკის ვიზიტორებს დაუბრუნდნენ მათთვის სასურველ ლოკაციას ავტომობილის საშუალებით. ასევე მონასტრის ტერიტორიიდან შესაძლებელია სოფ. პირველი ბალდის გავლით მარტვილის კანიონზე დაბრუნება, იმავე ბილიკით რომლითაც დაიწყო ტურისტული ბილიკი. ამ შემთხვევაში გასავლელი იქნება 5250 მ. მარტივი გზის მონაკვეთი რომლის დაფარვასაც ჯამში დაახლოებით 1 სთ. და 30 წთ. დასჭირდება.

სურათი 12: ბალდის მამათა მონასტერი და ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის (ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებგვერდიდან მოპოვებული ფოტო)

3.1.2 წაჩხურუს ჩანჩქერის და ტბის ბილიკი

წაჩხურუს (ხირზენის) საფეხმავლო ბილიკი შეირჩა მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურში, სალხინოს თემში, ხირზენის კალთაზე, სადაც მდებარეობს წაჩხურუს მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია და მამათა მონასტერი. ბილიკის საწყის წერტილს სწორედ ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს.

სურათი 13: წაჩხურუს მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია (ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებგვერდიდან მოპოვებული ფოტო)

ქალაქ მარტვილის ცენტრიდან, წაჩხურუს მთავარანგელოზის ეკლესიამდე 22 კილომეტრია, საავტომობილო გზა კეთილმოწყობილია და მის დასაფარად 30 წუთი არის საჭირო. გზა გაივლის მარტვილის კანიონსაც, შემდეგ სოფელ ჟინოთას, სალხინოს და სახლინოს შემდეგი სოფელია წაჩხური. ეკლესია თავდაპირველად აგებულია VII საუკუნეში, განახლება მოხდა მე-18 საუკუნეში და ჩვენამდე ამ სახით არის მოღწეული. ეკლესიას ყველა სეზონზე მრავალი ვიზიტორი და მომლოცველი სტუმრობს, ასევე მონახულებად ადგილს წარმოადგენს ეკლესიის მიმდებარედ, ეზოდან 500 მეტრში არსებული წაჩხურუს ჩანჩქერი, რომელიც წარმოიქმნება მდინარე თხოპრასგან. მდინარე თხოპრას სათავეს წარმოადგენს ტბა, რომელიც შერჩეული ბილიკის საბოლოო ლოკაციას წარმოადგენს.



რუკა 2: წაჩხურუს ბილიკის სიტუაციური რუკა

სურათი 14: წაჩხურუს ჩანჩქერი

მონასტერის და ჩანჩქერის მიმდებარე მონაკვეთზე შეირჩა ადგილი, სადაც მოეწყობა რეკრეაციული ადგილი - ორი საპიკნიკე. წარმოდგენილ მონაკვეთზე ამჟამად არის რამდენიმე ქვისგან მოწყობილი საცეცხლური, ტერიტორიაზე მისულ ვიზიტორებს სამომავლოდ დახვდებათ კეთილმოწყობილი საპიკნიკე.

სურათი 15: შეერჩეული ტერიტორია სადაც მოეწყობა რეკრეაციული ადგილი

შერჩეული ბილიკი წარმოადგენს ცალმხრივ მარშრუტს, იწყება და ბრუნდება ერთსა და იმავე დანიშნულების ადგილას, უმეტეს შემთხვევაში იმეორებს ერთსა და იმავე გზას. ბილიკის ორმხრივი, სრული სიგრძე 6.5 კმ-ს წარმადგენს, რის დასაფარადაც დაახლოებით 3 საათი არის საჭირო. წაჩხურუს ბილიკი ონიორეს ბილიკის მსგავსად, საშუალო სირთულის ბილიკს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა რომ წაჩხურუს ბილიკის დასაფარი მანძილი მცირეა ონიორესთან შედარებით, აღნიშნული ბილიკი შედარებით მაღალი დახრილობის ფერდობებზეა. ასევე წარმოდგენილია ზღვის დონიდან უფრო მაღლა. ბილიკის მინიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან 580 მეტრს შეადგენს, საშუალო სიმაღლე 790 მეტრია, ხოლო უმაღლესი ადგილი ზღვის დონიდან 1037 მეტრზეა. ბილიკზე გვხვდება 38% დახრილობის ფერდობებიც, საშუალო დახრილობა 17%-ს შეადგენს.



სიმაღლითი პროფილი 2: საფეხმავლო ბილიკის სიმაღლითი პროფილი

საწყისი წერტილიდან - ეკლესიიდან, საბოლო მონაკვეთამდე ასასვლელად 3 კილომეტრის გავლა არის საჭირო, ტბისკენ მიმავალი ბილიკი საშუალო სირთულისაა, საფეხმავლო გზა ძირითადად კირქოვანი და გრუნტის გზის სახით არის წარმოდგენილი. ბილიკის მიმდებარე არეალები მდიდარია ბიომრავალფეროვნებით. ტერიტორიაზე ძირითადად წარმოდგენილია წიფლნარ-რცხილნარი, ასევე წარმოდგენილია კოლხური ტყის ტიპური ტიპები შქერის და მაყვლის საფარით. განსაკუთრებით აღსანიშნია ბილიკის საბოლოო ლოკაცია, ტბა, რომელიც წარმოდგენილია პირდაპირ ტყეში და ნაპირიდანვე იწყება ტყე შქერის ქვეტყით. მსგავსი სახის ტბა ძალიან იშვიათია და ეკოტურისტული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენს. ტბის სარკის ფართობი დაახლოებით 5000 კვ.მ-ს შეადგენს. აღსანიშნია ტბის მიმდებარედ არსებული ორი მცირე ზომის ტბა, რომლებიც ასევე უნიკალურია როგორც ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით, ისე სილამაზით.



სურათი 16: ბილიკის ბოლო ლოკაცია - ტბა

საბოლოო ლოკაციაზე მისულ ტურისტს, შეუძლია დატკბეს ამ ულამაზესი ბუნებით, ტბის ხედით, წარმოდგენილი ლოკაცია მიმზიდველი იქნება ფრინველებზე დაკვირვების მოყვარულთათვისაც. ტბის პირას მშვიდ გარემოში მრავალი სახეობის ჩიტის ნახვა არის შესაძლებელი და მათზე დაკვირვება როგორც ვიზუალურად, ასევე სმენით.

ტბამდე გავლილი მანძილის უკან გავლა იქნება კვლავ საჭირო წაჩხურუს მონასტრამდე და ჩანჩქერამდე დასაბრუნებლად. ბილიკიდან დაბრუნებულ ვიზიტორს შეეძლება 6.5 კმ-იანი მარშრუტის გავლის შემდგომ დაისვენოს მონასტრის და ჩანჩქერის მიმდებარედ შერჩეულ რეკრეაციულ ადგილას.

3.2 საველოსიპედო ბილიკები

პროექტის ფარგლებში, მარტვილის მუნიციპალიტეტში ვიზიტორთათვის ბილიკების კეთილმოწყობა გათვლილი იყო ყველა სეგმენტზე, მათ შორის ველოსიპედით გადაადგილების მოყვარულთათვისაც. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეირჩა 2 მონაკვეთი, რომლებიც სანახაობრივად საინტერესო და გადასაადგილებლად მარტივი იქნება. ველო ბილიკებისთვის შერჩეული ტერიტორია გათვლილია მოყვარულთათვის და არ არის აუცილებელი განსაკუთრებული გამოცდილების ქონა და სპეციალური ფიზიკური მომზადება.



რუკა 3: საველოსიპედე ბილიკების სიტუაციური რუკა

3.2.1 მარტვილის ცენტრი - მარტვილის კანიონი ველობილიკი

როგორც ანგარიშის წინა თავებში აღვნიშნეთ, მარტვილის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთ ყველაზე მონახულებად ადგილს მარტვილის კანიონი წარმოადგენს. მუნიციპალიტეტში საპროექტო ტერიტორიების შერჩევის პროცესში ყოფნისას, ხშირად გვხვდებოდა ველოსიპედით კანიონისკენ მიმავალი ტურისტები. ველო ბილიკი ქალაქ მარტვილის ცენტრიდან მარტვილის კანიონამდე ერთ-ერთი საუკეთესო ვარიანტია სხვა განხილული ალტერნატივებიდან. ცენტრიდან კანიონამდე ველოსიპედისტს 5,5 კილომეტრის გავლა მოუწევს, შედარებით მარტივ რელიეფზე, რომლის მინიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან 181 მ-ია, ხოლო მაქსიმალური 254 მ. ბილიკის საშუალო სიმაღლე 215 მეტრია ზღვის დონიდან. ასევე უმნიშვნელოა რელიეფის დახრილობა, რომელიც საშუალოდ 2,6%-ს შეადგენს.

სიმაღლითი პროფილი 3: #1 ველო ბილიკის სიმაღლითი და სირთულის პროფილი

მსგავსი ტიპის რელიეფი ველოსიპედისტს გაუადვილებს გადაადგილებას და გასავლელი გზა არ იქნება დამღლელი. გადაადგილება შესაძლებელი იქნება ასფალტის გზის გვერდებზე, რისთვისაც არის საკმარისი ტერიტორია. კანიონამდე მისულ ვიზიტორს შეეძლება დაბრუნდეს უკან, ან განაგრძოს ველოსიპედით გადაადგილება მეორე საველოსიპედე ბილიკზე.

3.2.2 მარტვილის კანიონი - კაღუს ჩანჩქერი ველობილიკი

საველოსიპედე ბილიკის მეორე მონაკვეთად შეირჩა მარტვილის კანიონიდან კაღუს ჩანჩქერამდე მიმავალი გზა, რომელიც პრაქტიკულად პირველი ბილიკის გაგრძელებას წარმოადგენს. კანიონზე მისულ ველოსიპედისტებს, საშუალება ექნებათ შეიტყონ ინფორმაცია და განაგრძონ გზა კაღუს ჩანჩქერამდე, რომლის გასავლელად საჭიროა 6,7 კმ-ს დაფარვა. პირველ ბილიკთან შედარებით, შედარებით რთული ბილიკია კაღუს ჩანჩქერამდე მიმავალი მონაკვეთი. აქ საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 299 მეტრს შეადგენს, ხოლო დახრილობა 6,1%.

სიმაღლითი პროფილი 4: #2 ველო ბილიკის სიმაღლითი და სირთულის პროფილი

კაღუს ჩანჩქერისკენ მიმავალი ბილიკი ასევე გაივლის ბალდის მონასტერსაც, რომლის მონახულებაც შეეძლებათ ბილიკზე გადაადგილებულ ვიზიტორებს. ჩანჩქერიდან მარტვილის ცენტრამდე, იგივე გზით ველოსიპედისტს 12 კილომეტრის გავლა მოუწევს.

3.3 ეკოსაგანმანათლებლო ბილიკები

გარემოსდაცვითი განათლება და მასთან დაკავშირებული აქტივობები მსოფლიოს მასშტაბით აქტუალურ თემას წარმოადგენს, რადგან რიგ ქვეყნებში, მათ შორის განვითარებად ქვეყნებშიც საკმაოდ დიდი პრობლემა დგას გარემოსდაცვითი განათლების რესურსზე. საქართველოს შემთხვევაშიც, შედარებით ახალი საკითხია გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების კამპანიები. ყოველდღიურად ვითარდება აღნიშნული კუთხით სხვადასხვა საკითხები და უკვე სისტემატიური ხდება ეკოსაგანმანათლებლო აქტივობები მოზარდებში.

გარემოსდაცვითი სწავლების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას საველე გასვლები ბუნებაში, წარმოადგენს, რადგან უკეთესად აღქმადია დეტალები რომელზეც აქვთ თეორიული ცოდნა მიღებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის ფარგლებში განხორციელებული ეკოსაგანმანათლებლო ბილიკების დაგეგმვით, გაუმჯობესდება სამეგრელოს რეგიონში და მარტვილის მუნიციპალიტეტში გარემოსდაცვითი განათლების დონე. ასევე, ეკო საგანმანათლებლო ბილიკს შესაძლოა ესტუმრონ სხვა რეგიონებიდან, ბილიკის სანახაობრივი მრავალფეროვნებიდან გამომდინარე.

საგანმანათლებლო ბილიკების დაგეგმვისას, გავითვალისწინეთ, რომ ბილიკზე ვიზიტორთა ძირითად სეგმენტს სკოლის მოსწავლეები წარმოადგენენ, შესაბამისად შეირჩა მარტივად დასაფარი ბილიკები, რომლებიც მეტად დატვირთულია ბიომრავალფეროვნებით და სანახაობით. ბილიკის შერჩევისას გავითვალისწინეთ არა მხოლოდ გარემოსდაცვითი განათლების მიღება, ასევე შერჩეულ ორივე ბილიკზე წარმოდგენილია ისტორიულ-კულტურული ძეგლი, რაც ბილიკს დამატებით საინტერესოს ხდის და უფრო მეტად მონახულებადი იქნება. შერჩეული ორივე საგანმანათლებლო ბილიკი წარმოადენს ცალმხრივ მარშრუტს, იწყება და ბრუნდება ერთსა და იმავე დანიშნულების ადგილას. ასევე, აღსანიშნია ის ფაქტი, რომ ეკოსაგანმანათლებლო ბილიკები, იმეორებენ სალაშქრო ბილიკების მარშრუტს იმ მონაკვეთებზე, სადაც მასშტაბურად არის წარმოდგენილი სანახაობრივი მონაკვეთები და პროექტით დაგეგმილი ბილიკების სტრუქტურულად ერთიან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ.

3.3.1 ბალდის მონასტერი - კაღუს ჩანჩქერი ეკოსაგანმანათლებლო ბილიკი

პირველი შერჩეული ეკოსაგანმანათლებლო ბილიკი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ გათვლილია სკოლის მოსწავლეებზე, მდებარეობს მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბალდას მიმდებარედ. ლოკაციის დასაწყისს ბალდის მამათა მონასტერი წარმოადგენს

და ბილიკი მიუყვება მდ. აბაშის პირას არსებულ საგზაო მონაკვეთს, საბოლოო ლოკაცია კაღუს (ჟუჟღას) ჩანჩქერის მიმდებარედ მბ. აბაშის მარცხენა შენაკადის მდ. ტობას შესართავები წარმოადგენს.



რუკა 4: ეკოსაგანმანათლებლო ბილიკის სიტუაციური რუკა

ბილიკის საერთო სიგრძე, რომელიც ითვალისწინებს ბალდის მონასტრიადნ კაღუს ჩანჩქერამდე ასვლას და უკან, ბალდის მონასტერთან დაბრუნება შეადგენს 3.4 კილომეტრს. ბილიკის მინიმალური სიმაღლე 319 მეტრია, მაქსიმალური 368 მეტრი, საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 345 მეტრს შეადგენს. ბილიკის საშუალო დახრილობა 12.3 % შეადგენს.



სიმაღლითი პროფილი 5: საგანმანათლებლო ბილიკის სიმაღლითი და სირთულის პროფილი

ეკო საგანმანათლებლო ბილიკის მთავარ, საკვანძო წერტილებს წარმოადგენს ბალდის მამათა მონასტერი, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, ბალდის კანიონი, კაღუს ჩანჩქერი და მდ. აბაშას სანაპირო.

ბილიკზე მისული ვიზიტორები, შეიტყობენ ინფორმაციას აღნიშნულ ისტორიულ-კულტურულ ძეგლზე, რომელიც ხშირად მონახულებად ადგილს წარმოადგენს მარტვილის მუნიციპალიტეტში. საგანმანათლებლო ბილიკზე ვიზიტისას შესაძლებელი იქნება ბალდის კანიონის ბუნების ძეგლის დათვალიერება, რომელიც ეკო საგანმანათლებლო თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი ობიექტია. კანიონი წარმოადეგნს მდ. აბაშის მიერ, ასხის მასივის სამხრეთ ნაწილში, კირქვულ ქანებში გამომუშავებულ კანიონს. კანიონის სიგრძე დაახლოებით 1400 მ-ია, სიგანე 5-10 მ, ხოლო ჩაჭრის სიღრმე საშუალოდ 25-30 მ.

კანიონი უნიკალურია ვიზუალური როგორც ვიზუალური ასევე ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით.



სურათი 17: ბალდის კანიონის ბუნების ძეგლი

კანიონის მონახულების და ინფორმაციის მიღების შემდეგ, გზა გრძელდება კაღუს ჩანჩქერამდე, რომელიც წარმოდგენილია მდ. აბაშას პირას. აღნიშნული ლიკაციაც იქნება მონაკვეთი, სადაც შესაძლებელია გაჩერება და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება მისული ვიზიტორთათვის. კაღუს ჩანჩქერიდან ჩრდილოეთით 150 მეტრში

წარმოდგენილია მდ. აბაშის მარცხენა შენაკადის, მდ. ტობას გადაკვეთის მონაკვეთი, სადაც ასევე შესაძლებელია ცნობიერების ამაღლება ჰიდროლოგიური თვალსაზრისით.

სურათი 18: მდ. აბაშა კაღუს ჩანჩქერის მიმდებარედ

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შერჩეული ეკო საგანმანათლებლო ბილიკი, მისი სანახაობრივი და შინაარსობრივი დატვირთვიდან გამომდინარე, პოპულარული და ხშირად მონახულებადი იქნება მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

3.3.2 წაჩხურუს მონასტერი - წაჩხურუს (ხირზენის) ჩანჩქერი ეკოსაგანმანათლებლო ბილიკი

წაჩხურუს (ხირზენის) საფეხმავლო ეკო-საგანმანათლებლო ბილიკი შეირჩა მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურში, სალხინოს თემში, ხირზენის კალთაზე, სადაც მდებარეობს წაჩხურუს მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია და მამათა მონასტერი. ბილიკის საწყის წერტილს სწორედ ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს, ხოლო საბოლოო მონაკვეთს წაჩხურუს ჩანჩქერი.



რუკა 5: ეკო საგანმანათლებლო ბილიკის სიტუაციური რუკა

ბილიკის სიგრძე 1.3 კილომეტრს შეადგენს, ზღვის დონიდან სიმაღლე 579 მეტრით იწყება და ადის 658 მეტრზე, საშუალო სიმაღლე 610 მეტრია ზღვისდონიდან. ბილიკის საშუალო დახრილობა 17.2%



სიმაღლითი პროფილი 6: საგანმანათლებლო ბილიკის სიმაღლითი და სირთულის პროფილი

ბილიკზე გადასაადგილებლად მარტივი, კირქვოვანი სტრუქტურის ზედაპირია წარმოდგენილი. ეკლესიის მიმდებარედ შერჩეულია რეკრეაციული ადგილი, შესაბამისად, მისულ ვიზიტორებს საშუალება ექნებათ კეთილმოწყობილ ტერიტორიაზე პიკნიკი მოაწყოს. წარმოდგენილი ეკოსაგანმანათლებლო ბილიკიც გათვლილია

სკოლის მოსწავლეებზე, რომლებიც ვიზიტისას გაეცნობიან როგორც ისტორიულ-კულტურულ ძეგლს, ასევე მოინახულებენ ჩანჩქერს და დააკვირდებიან ტერიტორიაზე წარმოდგენილ ბიომრავალფეროვნებს. შერჩეული მონაკვეთი ასევე იძლევა საშუალებას ვიზიტორმა მოინახულოს ბილიკის მიმდებარედ წარმოდგენილი არეალები, რაც გარემოს დაცვითი განათლების კუთხით მნიშვნელოვანია. წაჩხურუს მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიიდან იშლება ულამაზესი ხედი, საიდანაც მოჩანს გეოგრაფიული ობიექტები, რომლებიც, ეკოსაგანმანათლებლო თვალსაზრისით საყურადღებოა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ბილიკიც პოპულარული იქნება საგანმანათლებლო თვალსაზრისით და ვიზიტორთა დიდ რაოდენობას უმასპინძლებს ყოველწლიურად.

4 ბილიკების მანიშნებლები

ბილიკის მანიშნებლების განთავსება ასევე უნდა მოხდეს ტექნიკური რეგლამენტით – „საფეხმავლო ბილიკების გეგმარებისა და მონიშვნის შესახებ“ მოცემული მოთხოვნების და ნორმების დაცვით, რომელსაც განახორციელებს შერჩეული ორგანიზაცია. ანგარიშის საფუძველზე მომზადდა მონაცემები, რომლითაც განსაზღვრულია საჭირო ინფორმაცია, თუ სად უნდა განთავსდეს მანიშნებლები სამუშაოების შემსრულებლის მიერ.



რუკა 6: ონიორეს ბილიკზე განსათავსებელი მანიშნებლების სქემა

N	X	Y	მონაკვეთი	სიგრძე (მ)	დრო / საპირისპირო
1	284345	4703899	1-2	830	0.30 / 0.20
2	284196	4704654	2-3	3507	1 / 0.50
3	286423	4706952	3-4	3231	2.30 / 1.30
4	289075	4706415	4-5	2257	1 / 1.40
5	290646	4705594	5-6	520	0.30 / 0.20
6	290716	4705860	6-7	442	0.30 / 0.20
7	291109	4705895	7-8	3579	2.30 / 3.30
8	288640	4707610	8-9	225	0.10 / 0.10
9	288451	4707528	9-10	1575	1 / 1
10	287078	4707233	10-1	5259	1.30
					9.40 /



რუკა 7: წაჩხურუს ბილიკზე განსათავსებელი მანიშნებლების სქემა

N	X	Y	მონაკვეთი	სიგრძე (მ)	დრო / საპირისპირო
1	281746	4714946	1-2	648	0.20 / 0.20
2	281865	4715469	1-2	648	0.20 / 0.20
3	282105	4715692	1-3	929	1.30 / 1
4	282509	4716106	3-4	728	0.30 / 0.30
5	282625	4716771	4-5	897	0.40 / 0.30

6	282465	4716996	5-6	452	0.30 / 0.20
					3.50 / 3

შერჩეულ ლოკაციებზე მოეწყობა მანიშნებლები, რომლებზეც დატანილი იქნება მანძილი დანიშნულებამდე, გასავლელი დრო, მიმართულება და ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.

ანგარიშით მომზადებული სამუშაოების განმხორციელებელმა, ასევე უნდა გაითვალისწინოს ყველა სხვა დადგენილება, მათ შორის საყურადღებოა საღებავებით ბილიკის მონიშვნის წესები.

ზემოაღნიშნულ ანგარიშზე მომუშავე კონსულტანტი ეკოტურიზმის დარგში, ინფრასტრუქტურის მოსაწყობად სამუშაოების განმახორციელებელს, გარდა ანგარიშით წარმოდგენილი ინფორმაციისა, საჭიროების შემთხვევაში, მიაწვდის სხვა მონაცემებს, რაც საჭირო იქნება სამუშაოების სრულყოფილად შესრულებისთვის.

5 ზეპირსიტყვიერება სამეგრელოში

სამეგრელო თავისი ისტორიული წარსულითა და ყოფა-ცხოვრებით ფრიად საინტერესო კუთხეა. აქ შემორჩენილია ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, რასაც უფროსი თაობა გადასცემს ახალგაზრდებს.

სურათი 19: გოგილო ბასილაია, ლამზირა კოკაია, ბორის სხულუხია

ცხენის ქურდი

მეცხენეობასთან ერთად, სამეგრელოში გავრცელებული იყო ცხენის ქურდობაც, რაც ვაჟკაცობად ითვლებოდა. ცხენის მოპარვა მოითხოვდა გულადობას და დიდი მოხერხებას, რომ ნაქურდალი ცხენი პატრონს ვერ გამოეცნო და ქურდის ვინაობა არ გამომჟღავნებულიყო, რაც საძრახისად ითვლებოდა.

ერთხელ იმერეთში თავად წერეთელს, რომელსაც ორი ნაქები ცხენი ჰყოლია, სამეგრელოდან ხაინდრავა და დანელია სწვევია. წერეთელს პატივისცემით მიუღია სტუმრები და შემდეგ უჩვენებია თავისი ცხენები. ხაინდრავას დიდად მოსწონებია ცხენების სიმშვენიერე და გაწვრთნილობა. დანელიას კი გულში განუზრახავს ცხენის მოპარვა.

წერეთლის ეზოს შემოვლებული ჰქონია მაღალი და მაგარი ღობე. მას ჰყოლია 2 ძაღლი, რომელთა შიშით ვერავინ გაჭაჭანდებოდა. წერეთელი კი ტრაბახობდა, ჩემი ცხენების მოპარვას ვერავინ გაბედავსო.

წერეთელს პატივით გაუსტუმრებია ხაინდრავა და მისი მხლებელი დანელია.

გასულა ხანი და დანელია შესდგომია ცხენის მოპარვის თადარიგს: მოუწნავს 2 გრძელი გოდორი და შიგ ჩაულაგებია ხორცი. შეღამებისას შეპარულა წერეთლის ეზოში და სანამ ძაღლებს აუშვებდნენ, ეზოში მდგარ კაკლის ხეზე აცოცებულა. ღამე მოჯამაგირეს ძაღლები აუშვია. როდესაც ოჯახს დაუძინია, დანელიას ხორციანი კალათი კაკლიდან ჩამოუშვია. ხორცის სუნზე კალათაში ჯერ ერთი ძაღლი აღმოჩნდა, რომელიც დანელიას მაღლა გაუქანებია და კაკლის ტოტზე მიუბამს. ასეთივე ბედი სწვევია მეორე ძაღლსაც. ამის შემდეგ დანელიას წერეთლის ცხენი აუხსნია და გაპარულა. დანელიას მოპარული ცხენი ისეთ ადგილას დაუმალავს, რომ წერეთელს კვალისთვის ვერ მიუკვლევია.

გასულა დრო და დანელიას ეს ამბავი ხაინდრავასთვის გაუმხელია. თან უთქვამს, რომ თუ მოინდომებდა, ცხენს ყოველთვის მოიპარავდა. ხაინდრავას ეს ამბავი წერეთლისთვის უცნობებია. გახარებულ წერეთელს სადილი გაუმართავს და ხაინდრავა და დანელია დაუპატიჟია. იმერეთის მებატონეს დანელია წერეთლის ცხენზე შემჯდარი ხლებია და წერეთელს ის დაუსაჩუქრებია.

არის ასეთი თქმულებაც: ცხენის ქურდს, დანელიას მოსთხოვეს, ხატზე დაეფიცა, რომ ცხენი მისი მოპარული არ იყო. დანელია ამაზე დათანხმებულა. თუმცა ჯერ სახლში

გაქცეულა, აკვანზე გადაწოლილა და ცოლისთვის უთქვამს, დამარწიეო. შემდეგ ამდგარა, მისულა ხატთან და დაუფიცავს: რაც მე აკვნიდან ამოვედი, მას შემდეგ თუ რამე მომეპაროს, შენი მადლი გამიწყრესო.

ამირან ნაჭყებია
ქვედა ვახა

როგორ გადარჩა „ოჯალეში“

სამეგრელოში უფროსი თაობის ერთ–ერთი ცნობილი კოლორიტული ფიგურაა ბატონი გიგილო ბასილაია. ის არის ერთ–ერთი ავტორი წიგნისა „ჩვენი სალხინო“, რომელიც წარმოადგენს მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. სალხინოს ისტორიულ ქრონიკას XVII საუკუნის დასასრულიდან XXI საუკუნის დასაწყისამდე. გიგილო ბასილაია ფრიად საინტერესო მოსაუბრე გამოდგა. აი მისი მონათხრობიც:

სამეგრელო მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე მხარეა. აქ უძველესი დროიდან მისდევდნენ მესაქონლეობას და ცხენების მოშენებას, მემარცვლეობას და მევენახეობას. ითესებოდა ღომი და ფეტვი. მისდევდნენ ფეიქრობას. ოჯახებში ამზადებდნენ ბამბის, აბრეშუმისა და შალეულის ქსოვილებს. თითქმის ყველა ოჯახში ჰქონდათ საპენტი იარაღები, და საქსოვი დაზგა თავისი მოწყობილობით.

ასევე უძველესი დროიდან აკეთებენ თიხის ჭურჭელს, რასაც ხელს უწყობს საჭურჭლე თიხის დიდი მარაგი. გავრცელებული იყო კალათების გაკეთებისა და ყავრის (გადასახური მასალის) დამზადების ოსტატობაც.

შემდგომში ეს ტრადიციები მოიშალა. ღომი და ფეტვი სიმინდმა შეცვალა, ქსოვილებს, ჭურჭელსა და ყავარს შინ აღარავინ ამზადებს. თუმცა არის ძველი ტრადიციების შენარჩუნების ბედნიერი შემთხვევებიც. ამის მაგალითია ვაზის ერთერთი ჯიშის შენარჩუნება.

სამეგრელოში გავრცელებული ვაზის ჯიშებიდან საუკეთესოდ ითვლება ოჯალეში, რომელიც ყველაზე უხვ მოსავალს და საუკეთესო ღვინოს იძლევა. „ოჯალეში“ სქელი, მაგარი და საამო დასალევი ღვინოა.

XIX საუკუნის ბოლოს სახელგანთქმული „ოჯალეში“, რომელიც მხოლოდ მდინარე წაჩხურას ნაპირას მოდიოდა, გადაშენების პირას ყოფილა მისული. მისი კულტივირება დაუწყია სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის ქალიშვილის, სალომე დადიანის მეუღლეს, საფრანგეთის საიმპერატორო ოჯახის წევრს, აშილ მიურატს, რომელმაც სოფელ სალხინოს მამულებში დიდებული მეურნეობა მოაწყო, და დაიწყო ღვინის წარმოება. მარანი, სადაც ღვინო მზადდებოდა, დღესაც შემორჩენილია.

მეგრელების გადმოცემით აშილ მიურატი მოსამსახურეებისა და გლეხების გვერდით შრომობდა. ბარავდა, თოხნიდა და მოსავალს უვლიდა, მათთან ერთად ნადირობდა, აარსებდა სკოლებსა და აფთიაქებს, გაჰყავდა გზები, უხვად აჯილდოვებდა ღარიბ ოჯახებს. მან მდინარე წაჩხურას ვაკეზე ოჯალეშის დიდი ვენახი გააშენა.

აშილი შესანიშნავ ღვინოებს ამზადებდა და ევროპაშიც წარმატებით გაჰქონდა. აშილ მიურატს სოფელ სალხინოში დამზადებული ღვინო "ოჯალეში" გაუგზავნია პარიზში საერთაშორისო დეგუსტაცია-კონკურსზე, სადაც იგი უმაღლესი ჯილდოთი "გრან-პრი"-თი დაუჯილდოებიათ. სალხინოს ოჯალეშმა საქართველოს გარეთაც გაითქვა სახელი.

გოგილო ბასილაია
სალხინო

მეგრული სამზარეულო

ქართული კერძების დამზადების წესები და ჩვეულებები თაობიდან თაობას გადაეცემოდა. საქართველოს ყოველ ნაწილში შეხვდებით განსხვავებული სახის კერძებს, რომელიც ამა თუ იმ მხარეს ახასიათებს. აი, რას გვიამბობს მეგრულ კერძებზე სალხინოელი დიასახლისი, ლამზირა კოკაია.

მეგრული ტრადიციული კერძები:

ღომი – სიმინდის ღერღლილისგან და ფქვილისგან დამზადებული კერძია.

ელარჯი – რძის ნაწარმით, ღერღილით და სიმინდის ფქვილით მზადდება. რძის ნაწარმიდან მეგრული სამზარეულოსთვის დამახასიათებელ ყველს, სულგუნს ამატებენ კერძის მომზადების პროცესში.

გებჟალია – გებჟალია რძეში ჩახარშული კერძია. ის მზადდება რძის ნაწარმისგან, პიტნისაგან და სანენებლებისგან.

სუპ-ხარჩო – სუპ-ხარჩოს მეგრული სამზარეულოს **უგემრიელესი წვნიანია**. კერძის მომზადებისას მეგრელები იყენებენ უხვ სუნელებს, ბრინჯს, წყალს, ტომატ-პასტას ან პამიდორს და საქონლის ხორცს.

ფუჩხოლია – ფუჩხოლიას მოსამზადებლად იყენებენ რძის ნაწარმს, ჭყინტ ყველს, ქინძს, ნივრის სოუსს, წიწაკასა და პიტნას. შეზავებულ მასას ათავსებენ ცხელ ღომში.

მეგრული კუჭმაჭი – ტრადიციული მეგრული კუჭმაჭი **ცხარე და სურნელოვანია.** ის მზადდება საქონლის ან ღორის გულ-ღვიძლით, ხახვით, ბროწეულით, წითელი წიწაკითა და სხვა სანელებლებით.

აჯიკა ტრადიციული საწებელია, რომლის მთავარი ინგრედიენტებია: წითელი წიწაკა, ნიორი, მარილი და სხვადასხვა სახის სუნელები. სამეგრელოში ამზადებენ როგორც წითელ, ასევე მწვანე აჯიკას. 2018 წელს მეგრულ და აფხაზურ აჯიკას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

მეგრული ხაჭაპური – მთავარი ინგრედიენტებია ცომი და ყველი. **მეგრული ხაჭაპურს** ყველს ზევიდან ამატებენ.

მეგრული საცივი – საცივი ნიგოზით, ხმელი სუნელებით და ინდაურის ან ქათმის ხორცით მზადდება. სამეგრელოში დამზადებულ საცივს ძირითადად **თეთრი ფერი აქვს.** საცივი **საახალწლო სუფრის** მთავარი კერძია.

მეგრული ჭვიშტარი – კვერი, რომელსაც ყველისა და სიმინდის ფქვილისგან ამზადებენ.

მეგრული სულგუნი – სპეციალური ტექნოლოგიით დამზადებული ყველის ნაირსახეობაა**.** ამზადებენ დაწნულ და შებოლილ სულგუნსაც.

ლამზირა კოკაია
სოფ.სალხინო

მეგრული სამზარეულო ვრცელი ვარიანტი (რომელიც გინდა აირჩიე)

ელარჯი – მეგრული სუფრის ერთ-ერთი მთავარი კერძია. ელარჯის მომზადების უამრავი რეცეპტი არსებობს, რომელიც ერთი შეხედვით მარტივია. ნამდვილ მეგრულ ელარჯს მხოლოდ სამეგრელოში თუ მიირთმევთ.

ელარჯი რძის ნაწარმით, ღერღილით და სიმინდის ფქვილით მზადდება. რძის ნაწარმიდან მეგრული სამზარეულოსთვის დამახასიათებელ ყველს, სულგუნს ამატებენ კერძის მომზადების პროცესში. სულგუნი ეხმარება კერძს გახდეს წელვადი და უგემრიელესი ერთიანი მასა. **ელარჯი ყოველდღიური კერძი არ არის.** სამეგრელოში ელარჯს მხოლოდ დღესასწაულებზე და განსაკუთრებული სტუმრიანობისას თუ შეხვდებით.

არ გაუშვა შესაძლებლობა ხელიდან. გაემგზავრე დასავლეთ საქართველოში და გახსოვდეს, ცხოვრებაში ერთხელ მაინც უნდა მიირთვა ნამდვილი მეგრული ელარჯი.

გებჟალია – ტრადიციული მეგრული კერძია. **მეგრული სიტყვა** „ბჟა“, რძეს ნიშნავს. სწორედ, ამიტომ გებჟალიას მთავარი დატვირთვაა ის, რომ რძეში ჩახარშული კერძია. გებჟალიასა და სულუგუნის დამზადების პროცესი ნაწილობრივ ერთმანეთს ჰგავს.

გებჟალია მზადდება რძის ნაწარმისგან, პიტნისაგან და სანენებლებისგან. მდუღარიდან ამოღებულ სულუგუნს პიტნასთან აზავებენ, ქმნიან ერთიან მასად და ჭრიან რულეტებად. ამ ნაჭრებს კი პიტნის ნადუღში ათავსებენ.

გებჟალიას, რომელიც სავარაუდოდ მზეს განასახიერებდა, ძველ დროში რიტუალურ სუფრებზე იყენებდნენ. სამეგრელოში გებჟალია სადღესასწაულო სუფრაზე ერთ-ერთ გამორჩეულ ადგილს იკავებს.

სუპ-ხარჩო – მეგრული სამზარეულოს **უგემრიელესი წვნიანია**. სამეგრელოში სუპ-ხარჩოს უმეტესად ზამთრის ცივ დღეებში ამზადებენ. სუპ-ხარჩო ერთ-ერთი ტრადიციული კერძია და ამას მოწმობს მისი დამზადების რეცეპტი. კერძის მომზადებისას მეგრელები იყენებენ უხვ სუნელებს, ბრინჯს, წყალს, ტომატ-პასტას ან პამიდორს და საქონლის ხორცს. წვინიანი სუპ-ხარჩოს კერძი ჩვეულებრივ მზადდება ზამთრის ცივ და სუსხიან დღეებში.

ფუჩხოლია – „ფუჩხოლია“ მეგრული სიტყვაა და დაფშვნილს ნიშნავს. კერძის მოსამზადებლად იყენებენ რძის ნაწარმს, ჭყინტ ყველს, რომელიც ადვილად იფშვნება. დაფშვნილ ყველს უზავებენ ქინძს, ნივრის სოუსს, წიწაკასა და პიტნას. შეზავებულ მასას **ათავსებენ ცხელ ღომში,** სადაც ყველი დნობას იწყებს. ფუჩხოლია ტრადიციული მეგრული სუფრის ერთ-ერთი მადისაღმძვრელი კერძია.

მეგრული კუჭმაჭი – ქართულ სუფრაზე საპატიო ადგილს იკავებს. კუჭმაჭის დამზადების უამრავი ვერსია არსებობს. საქართველოს თითოეულ ნაწილში მას განსხვავებული მომზადების წესითა და რეცეპტით ამზადებენ. ტრადიციული მეგრული კუჭმაჭი **ცხარე და სურნელოვანია.** კუჭმაჭის მომზადების პროცედურაში ჩაქსოვილია ის ჩვეულებები, რომელიც დასავლეთში მცხოვრებლებს დღესაც შემორჩათ. მეგრული კუჭმაჭი მზადდება საქონლის ან ღორის გულ-ღვიძლით, ხახვით, ბროწეულით, წითელი წიწაკითა და სხვა სანენებლებით. კერძს ყველა სეზონზე ამზადებენ.

მეგრული აჯიკა – აჯიკის წარმოშობის ისტორია დასავლეთ საქართველოდან მოდის, სამეგრელოსა და აფხაზეთში. **აჯიკა ტრადიციული საწებელია,** რომელსაც კონკრენტული კერძის მოსამზადებლად იყენებენ. ტრადიციული მეგრული აჯიკა ცხარე და არომატულია. მთავარი ინგრედიენტებია: წითელი წიწაკა, ნიორი, მარილი და სხვადასხვა სახის სუნელები. სამეგრელოში ამზადებენ როგორც წითელ, ასევე მწვანე აჯიკას. 2018 წელს მეგრულ და აფხაზურ აჯიკას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

მეგრული ხაჭაპური - ქართული სამზარეულოს მთავარი კერძი. ხაჭაპურს მომზადების განსხვავებული ტექნოლოგია ახასიათებს საქართველოს თითოეულ ნაწილში. ერთმანეთისგან განარჩევენ იმერულ, აჭარულ, მეგრულ, სვანურ, რაჭულ თუ ხევსურულ ხაჭაპურს. მთავარი ინგრედიენტებია ცომი და ყველი. **მეგრული ხაჭაპურს** ყველს ზევიდან ამატებენ.

მეგრული საცივი – ერთ-ერთი გავრცელებული სადღესასწაულო კერძია არა მხოლოდ დასავლეთ, არამედ მთლიანად საქართველოში. საცივი ნიგოზით, ხმელი სუნელებით და ინდაურის ან ქათმის ხორცით მზადდება. სამეგრელოში დამზადებულ საცივს ძირითადად **თეთრი ფერი აქვს.** მის დასამზადებლად არჩევენ, რაც შეიძლება თეთრ ნიგოზს და უხვ სანენებლებს. საცივი **საახალწლო სუფრის** მთავარი კერძია. ჩვეულებრივ, საცივს ღომთან ერთად მიირთმევენ.

მეგრული ჭვიშტარი - კვერი, რომელსაც ყველისა და სიმინდის ფქვილისგან ამზადებენ. ჭვიშტარი უმეტესად დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოსა და სვანეთში გვხვდება. ჭვიშტარის მოსამზადებლად იყენებენ სიმინდის ფქვილს, წყალს, რძესა და ყველს. ჭვიშტარი ფორმით მჭადის მსგავსად ცხვება, თუმცა მათი მომზადების ინგრედიენტები განსხვავებულია.

მეგრული სულგუნი – სპეციალური ტექნოლოგიით დამზადებული ყველის ნაირსახეობაა**.** ამზადებენ დაწნულ და შებოლილ სულგუნსაც.

ლამზირა კოკაია
სოფ.სალხინო

ტყის დედოფალი

მეგრელების წარმოდგენით ტყის დედოფალი ტყეებში ცხოვრობს და ნადირთა პატრონია. ის ულამაზესია და 2 გრძელი, ოქროსფერი ნაწნავი აქვს. ტყის დედოფლისთვის ძალიან ძვირფასია სავარცხელი. მისი დაკარგვა აგიჟებს და სიმშვიდეს აკარგვინებს. თმა, მითიური სიმბოლიკით, სიცოცხლის ძალის შემცველია და ამ შემთხვევაში ეს ძალა სავარცხელსაც გადაეცემა.

ტყის დედოფალზე იყო დამოკიდებული მონადირის ბედ-იღბალი. თუ ის მონადირეს სწყალობდა, ნადირს ტყვია არ ასცდებოდა, თუნდაც მონადირეს თოფი უკუღმა გაესროლა. ტყის დედოფალი თუ ადამიანს შეხვედრისას სახელს დაუძახებდა, ადამიანს ხმა არ უნდა გაეცა, თორემ ჭკუიდან შეიშლებოდა. თუ დედოფალს მამაკაცი მოეწონებოდა, მამაკაცს თითებით უნდა ენიშნებინა, რამდენი თვით, ან წლით შეეძლო მასთან ცხოვრება. ამის შემდეგ იმამაკაცის ოჯახს მფარველობას უწევდა ტყის დედოფალი. ოჯახი ბედნიერად და დოვლათიანად ცხოვრობდა, თუ მამაკაცი საიდუმლოდ შეინახავდა ტყის დედოფალთან კავშირს. წინააღმდეგ შემთხვევაში ტყის დედოფალი მას დასწყევლიდა და ოჯახი გაუბედურდებოდა.

ბორის სხულუხია
სალხინო

ოჩოკოჩი

უძველესი ღვთაება ოჩოკოჩი (ან ოჩოპინტრე), ტყის დედოფალზე უზომოდ გახლავთ შეყვარებული. ოჩოკოჩი გარეული ცხოველების წინამძღოლი და მფარველია.

ოჩოკოჩს ტანის ერთი ნაწილი ვაცის, ხოლო მეორე ადამიანის მსგავსი აქვს. სხეულს გრძელი, ჟანგისფერი ბალანი უფარავს. მკერდზე რქისებრი წანაზარდი აქვს, რითიც მოწინააღმდეგეს ამარცხებს. ოჩოკოჩს მეტყველება არ შეუძლია, მხოლოდ ბურტყუნებს, წკმუტუნებს ან იცინის. თუ ვინმე დაუძახებს ან გამოელაპარაკება, მაშინვე ჩხუბზე გადადის და რადგან უზარმაზარ ძალას ფლობს, ადამიანის დამარცხება არ უჭირს. მართალია, ტყის დედოფალზეა შეყვარებული, მაგრამ დიდი მექალთანეა და თუ სადმე ლამაზი ასული მოიხელთა, უეჭველად დაიყოლიებს სასიყვარულო კავშირზე.

ოჩოპინტრე იმდენად ძველი ღმერთია, რომ მისი პელაზგებსაც სწამდათ და შუმერებსაც. წარმართული კოლხური გაგებით, ვაცი ციურ, ღვთაებრივ ცხოველად მიიჩნეოდა. თხა, ვაცი მსოფლიოს საწყის ცივილიზაციათა მიერ აღქმული იყო როგორც წმინდა, ღვთიური, დიდებული არსება.

ოჩოპინტრე ფლობს ყოველი ნადირის სულს. მას ეკუთვნის ყოველი თევზის, წყლის სხვა ცხოველების, ფრინველების, ძუძუმწოვრების სული მთელ პლანეტაზე. მონადირე სანადიროდ წასვლამდე მას უნდა შეევედროს, რომ მისცეს ნადირის მოკვლის უფლება და ხელიც მოუმართოს.

ბორის სხულუხია
სალხინო

დევის ტბა

ერთხელ, როცა წმ.გიორგი ხორციელად მიწაზე ცხოვრობდა, იმერეთში მუხურას სტუმრობდა. იმ ადგილებში ბევრი დევი ცხოვრობდა. წმ.გიორგის დიაკვანი გაუფრთხილებია, მე სანადიროდ მივდივარ და კარი მანამ არ გაუღო არავის, სანამ ჭუჭრუტანაში ნეკს არ შემოაყოფინებო. დიაკვანიც ასე მოქცეულა და ეკლესიაში მოსული დევის ბანჯგვლიანი ნეკი რომ უნახავს, მისთვის კარი არ გაუღია და წმ. გიორგისთვის შეუძახია - მიშველეო. ამ დროს წმ.გიორგი ზღვაზე ბრძანდებოდა. დიაკვანის ხმა რომ მოესმა, დიდ ლოდს მოჰკიდა ხელი და დევს ესროლა. მაგრამ ძლიერად მოუვიდა, ლოდმა მუხურას გადაუფრინა და რაჭაში სოფელ ბარაკონთან დაეცა. როგორც ამბობენ, მე არ მინახავს, ის ლოდი დღესაც იქ გდია და წმ.გიორგის ნასროლს ეძახიანო.

წმ.გიორგი მაშინვე მუხურასკენ გაემართა, დევს შეება და დაამარცხა. მერე დიაკვანს უბრძანა, ჩემს ძალას გაძლევ და ეს დევი ხრამში გადააგდეო. დიაკვანს შეშინებია და უარი უთქვამს. მაშინ წმ.გიორგის დევისთვის წაღის წვერი ამოუკრავს და კლდიდან გადაუგდია, ზედ რომელიღაცა ხის მორებიც მიუყოლებია. სადაც დევი დავარდნილა იქ ტბა გაჩნდა. იმ ტბას დღესაც ჰქვია დევის ტბა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ დღესაც იმ ტბაში ურთხელის სარებია ჩარჭობილი. რაც შეეხება მშიშარა დიაკვანს, ის წმ.გიორგის ასე დაუწყევლია: არც მოშენდე და არც გადაშენდეო. მის შთამომავლობას გვარში მხოლოდ ერთი კაცი ჰყავს.

ამბობენ, რომ დევის ტბა გვალვის დროს გლეხებს წვიმის მოსვლაში ეხმარება, თუ გლეხი ქვას ჩააგდებს და წვიმის მოსვლას სთხოვს.

სურათი 20: დევის ტბა

ნატო დავითაშვილი

ცოტნე დადიანი

ცოტნე დადიანი – საქართველოს დიდგვაროვანი ფეოდალი ცხოვრობდა XIII საუკუნეში. ის

მონაწილეობდა მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ კოხტასთავის შეთქმულებაში 1245 წელს. მონღოლებმა შეთქმულების შესახებ შეიტყვეს, მისი მონაწილეები დააპატიმრეს და ანისში მონღოლთა ნოინს მიჰგვარეს. ცოტნე დადიანი შემთხვევით გადაურჩა დაპატიმრებას (აჯანყებისთვის ჯარს აგროვებდა დასავლეთ საქართველოში). ანისში დაპატიმრებული ქართველი დიდებულები აჯანყების გეგმას უარყოფდნენ და კოხტასთავის შეკრებას მონღოლთათვის ხარკის შეგროვების მოწესრიგების მიზეზით ხსნიდნენ. გამოტეხის მიზნით მათ ხელ-ფეხი შეუკრეს, გააშიშვლეს, ტანზე თაფლი წაუსვეს და მზეზე დაყარეს. როდესაც დადიანმა შეთქმულების მონაწილეთა ამბავი გაიგო, ანისში ჩავიდა და ნებაყოფლობით გაიზიარა თანამებრძოლეების ხვედრი — ტანზე გაიხადა და მეგობრებთან ერთად დაჯდა. ცოტნე დადიანის გმირულმა საქციელმა მონღოლები დაარწმუნა ქართველთა სიმართლეში და ყველანი გაათავისუფლეს.

1999 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა ცოტნე დადიანი წმინდანად შერაცხა.

ცოტნე დადიანის სახელობისაა კარსტული უფსკრული სამეგრელოში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ზღვის დონიდან 1580 მეტრზე, რომელიც სხვადასხვა დონეზე ივითარებს მშრალ დარბაზებს სტალაქტიტებითა და სტალაგმიტებით. თბილისში არის ცოტნე დადიანის ქუჩა.

ისტორიული ლეგენდა

ძმობა

ძმები ერთი უბრალო საქმის გამო ერთმანეთს დაემდურნენ. უფროსმა ძმამ უმცროსს უთხრა: შენგან არც ძმობა მინდა და არც სხვაო. საცხოვრებლადაც სხვა სოფელში გადავიდა. რამდენიმე წლის შემდეგ უფროს ძმას მევახშისგან დიდი ვალი დაედო. მევახშემ ვალის გადახდის დრო დაუთქვა, თუ დანიშნულ დღეს ვალს ვერ გადაუხდიდა, ცოლის წართმევით დაემუქრა.

შეწუხებულმა და დაღონებულმა დახმარება მეგობრებს სთხოვა. ყველასგან პასუხი ერთგვარი იყო:
ადრე რომ მოსულიყავი, უეჭველად დაგეხმარებოდითო.
იმედგაცრუებული და ფიქრებში ჩაფლული შინისაკენ მიმავალ გზას დაადგა. ეს გზა უმცროსი ძმის სახლთან გადიოდა. ძმის სახლს მიახლოებულს ბავშვობა და მასთან გატარებული დღეები გაახსენდა. უმალ ძმური სიყვარულის გრძნობამაც გაიღვიძა, წყენა გადაავიწყდა და ძმის სახლში შევიდა.
ძმა ძმას მხიარული განწყობით შეხვდა, სუფრა გაუშალა და მოწყენილობის მიზეზი ჰკითხა.
–ცუდადაა ჩემი საქმე, სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია. ვალი დამედო და თუ ხვალ ვერ გადავიხადე, მევახშე ცოლს წამართმევსო.
–ნუ გეშინია ძმავ, აგერ ვარ მე, დაგეხმარები. ეს სასირცხვილო ამბავი სხვას არ გავაგებინოთო.
უფროსი ძმა ატირდა და თავისთვის ჩაილაპარაკა, მართალი უთქვამს ხალხს: „ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო.

ოთარ სულუხია
ზემო ლებასილე

გამზედავი კოდალა

ფრინველთა მბრძანებელს, მეფე არწივს დედოფალმა არწივმა სთხოვა: გამირკვიე, ამქვეყნად ჭკვიანი ხალხი უფრო მეტია, თუ უჭკუონიო. მეფე არწივმა იხმო ყველა ფრინველი და დედოფლის დავალების შესასრულებლად ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაგზავნა. გავიდა დრო. დაბრუნდნენ ფრინველები და თავთავიანთი აზრი მოახსენეს მბრძანებელს. ყველაზე ბოლოს კოდალა მივიდა.
არწივმა დაგვიანების მიზეზი ჰკითხა.
–მეფევ ბატონო, ძნელი შეიქნა ამ ამბის დადგენაო.
–მაინც რა დაადგინეო? –ისევ ჰკითხა არწივმა.
–ამქვეყნად უჭკუონი მეტია, ვიდრე ჭკვიანებიო.
–სხვებმა სხვა მითხრეს, შენ კი ეს როგორ გამოგივიდაო? – გაუკვირდა არწივს.
–ვინც ცოლის ჭკუაზე დადის, უჭკუოებს მივაწერე და ასე ისინი მეტი აღმოჩნდნენო.
ჩაფიქრდა მეფე არწივი, თავის დაქნევით სიმართლის დასტური მისცა კოდალას და გულჯავრიანი მთის მწვერვალისკენ გაფრინდა.

მელენტი ცაავა
ლეცაავე

„გაკეთებული“ მიმინო

დიდ აშილ მიურატს დაუგეშავი მიმინო აჩუქეს. იკითხა: – ვის შეუძლია სანადიროდ მისი გაწვრთნაო. უპასუხეს:

– ეს საქმე ყველა აქაურმა იცისო.

აშილმა მიმინო პირველივე შემხვედრს მისცა, რომელიც მზარეული იყო და უთხრა: – მალე ეს მიმინო კარგად გამიკეთეო.

მზარეულმა იფიქრა, ალბათ ფრანგებისთვის მიმინოც ბაყაყივით დელიკატესიაო. კარგად შებრაწა, მრავალგვარი მწვანილ–სუნელით შეკაზმა და ვახშმად მიართვა. როცა აშილმა გაიგო „გამიწვრთენის“ მაგივრად „გამიკეთე“ რომ უთხრა მზარეულს, ბევრი იცინა. შენი ბრალი არაა, ეს მხოლოდ ჩემი მეგრულის ბრალიაო, –თქვა და მზარეული სუფრაზე მიიპატიჟა.

გოგილო ბასილაია
სალხინო

არველოდი და ქათმები

არველოდი ცაავას ხე–ტყის საამქროში ხელფასიც ჰქონდა და „ხალტურაც“. ახალი დროების შედეგად უმუშევრად დარჩენილს მეგობრები ეწვივნენ და ჰკითხეს, როგორ ხარო.

–როგორ ვიქნები, – უპასუხა ნაღვლიანად, – ეზოში გავლა და ქათმებისთვის თვალებში შეხედვა მრცხვენია. ოჯახში თითოეულს ყოველდღე 20 თეთრი შემოაქვს, მე კი ერთი თეთრიც ვერ შემომიტანიაო.

ლონგინოზ (გიჟუა) ბერიშვილი
ქვ. ვახა

6 დანართები

დანართი 1: ონიორეს ჩანჩქერის ბილიკი:

მთავარი სანახაობები: მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლი > ტობას ჩანჩქერის ბუნების ძეგლი > ონიორეს ჩანჩქერის ბუნების ძეგლი > კაღუს ჩანჩქერი > ბალდის კანიონის ბუნების ძეგლი > ბალდის მონასტერი

მუნიციპალიტეტი: მარტვილი

მარშრუტით გათვალისწინებული რეკომენდირებული პერიოდი: აპრილი - ოქტომბერი

მარშრუტის სახეობა: საფეხმავლო

მარშრუტის სირთულის კატეგორია: საშუალო

მარშრუტის ტიპი: გამჭოლი

მარშრუტის სიგრძე: 16.2 კმ. (მარტვილის კანიონი - ბალდის მონასტერი)

მარშრუტის დაფარვის სავარაუდო ხანგრძლივობა: 10 საათი

მარშრუტის სიმაღლეები ზღვის დონიდან მინიმალური / მაქსიმალური / საშუალო: 235/720/459 მ.

ჯამური აღმართი / დაღმართი: 911/1004 მ.

მარშრუტზე გადაადგილების საშუალება: საფეხმავლო ბილიკი

ფიჭური ქსელის დაფარვის ზონა: ფიჭური კავშირი ხელმისაწვდომია მცირე მონაკვეთებზე.

სასმელი და ტექნიკური წყლის არსებობა მარშრუტზე: ტურისტული ბილიკის საწყისი და საბოლოო მონაკვეთების გარდა, მარშრუტზე ვერ შეხვდებით სასმელი წყალის ობიექტებს, საჭიროა წინასწარ მარაგის შევსება. თუმცა, ბილიკი უმეტეს მონაკვეთზე მიუყვება მდინარეებს, რომლების სათავეებიც ბილიკის მიმდებარედაა.

შენიშვნა:

ტურისტული ბილიკი კვეთს დაცულ ტერიტორიებს - ტობას ჩანჩქერის ბუნების ძეგლს, ონიორეს ჩანჩქერის ბუნების ძეგლს. დაცულ ტერიტორიაზე გადაადგილებისას აუცილებელია დაიცვათ ქცევის ნორმები.

ტურისტული ბილიკი კვეთს მდინარეებს: მდ. ტობას და ონიორეს, რომელზეც მოწყობილია მარტივი გადასასვლელები და შესაძლებელია ფეხების დასველების

გარეშე გადასვლა. ბილიკი საბოლოო მონაკვეთში, კაღუს ჩანჩქერთან მისასვლელ გზაზე კვეთს მდ. აბაშას, რა დროსაც საჭიროა მდინარეზე გადასვლა. წყლის სიმაღლის დონე ხშირ შემთხვევაში არ აღემატება ნახევარ მეტრს და მდინარეზე გადასვლა არ წარმოადგენს დიდ სირთულეს. თუმცა, ბილიკზე ვიზიტის დაგეგმვისას, აუცილებელია გაითვალისწინოთ ზემოაღნიშნული ფაქტი მდინარის გადაკვეთასთან დაკავშირებით, რათა თავიდან აცილებულ იქნას გაუთვალისწინებელი ფაქტორები.

ტურისტულ მარშრუტზე, ონიორეს ჩანჩქერიდან კაღუს ჩანჩქერისკენ მიმავალ მონაკვეთზე, გაკვალული ბილიკის ზოგიერთი ნაწილი მიუყვება ხრამებს, სადაც გადაადგილებისას მაქსიმალური სიფრთხილე და ყურადღებაა საჭირო.

ტურისტული ბილიკი წარმოადგენს გამჭოლი სახის მარშრუტს, იწყება და სრულდება ორ სხვადასხვა დანიშნულების ადგილას და მისი დაწყება შესაძლებელია ორივე მიმართულებიდან. სანახაობრივი კუთხით, რეკომენდირებულია მარშრუტის მარტვილის კანიონის მიმდებარე მონაკვეთიდან დაწყება.

მარშრუტის აღწერა:

ტურისტული ბილიკი მოიცავს, მარტვილის მუნიციპალიტეტში არსებულ, უნიკალურ ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობებს. ბილიკზე მოსულ ვიზიტორს, შეუძლია მოინახულოს მარტვილის კანიონი და შემდგომ განაგრძოს ვიზიტი შედარებით ხელუხლებელ ბუნებაში ტობას ჩანჩქერის და ონიორეს ჩანჩქერის ბუნების ძეგლებზე, სადაც მოინახულებთ ულამაზეს ბუნებას, კარსტრული რელიეფით, მღვიმეებით, ჩანჩქერებით, კანიონებით, მდინარეებით და სხვა უნიკალური წარმონაქმნებით. ასევე მოინახულებთ ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლებს, საიდანაც აღსანიშნავია ტიპური კოლხური ტყე.

ბილიკზე ვიზიტისას შეგიძლიათ ისარგებლოთ კეთილმოწყობილი საპიკნიკეებით, რომელიც გხვდებათ ტობას და ონიორეს მიმდებარედ, ასევე კეთილმოწყობილია ჰიგიენური ინფრასტრუქტურა. ბილიკზე ასევე შეხვდებით ფრინველებზე დასაკვირვებელ კოშკურას, საიდანაც შეგიძლიათ დააკვირდეთ სხვადასხვა სახეობებს, მათ შორის აღსანიშნია ორბები, რომლის საბუდარი ადგილებიც კოშკურიდან კარგად მოსჩანს. გარდა ფრინველებზე დაკვირვებისა, კოშკურიდან იშლება პანორამული ხედები, რაც ვიზიტორს დაეხმარება მიმდებარე არეალების უკეთესად აღქმაში.


ონიორეს ჩანჩქერის ტურისტული ბილიკი
N
S
W
E
284000
286000
288000
290000
4710000
4708000
4706000
4704000
4702000
4700000
მესამე ბალდა
მეორე ბალდა
ბალდის მონასტერი
ბალდის ჩანჩქერი
ონიორეს ჩანჩქერი
პატარა თამაკონი
ბაკეთილი
ლებანე
პატარა ინნხური
დიდი ინნხური
ქვაითი
ლეგენდა
1:30,000


Oniore Waterfall Tourist Trail
284000
286000
288000
290000
4710000
4708000
4706000
4704000
4702000
4700000
N
S
W
E
Mesame balda
Meore balda
Balda Canyon Natural Monumant
Kaghu Waterfall
Balda Monastery
Oniore Waterfall Natural Monumant
Oniore Waterfall
Toba Waterfall Natural Monumant
Patara tamakoni
Pirveli balda
Skurdi
Gachedili
Lebache
Patara inchkhuri
Martvili Canyon Natural Monument
Didi inchkhuri
Kvaiti
Sukhcha
Legend
Hiking Trail
Starting Place
Waterfall
Picnic Area
Bird Watching Tower
Church
Main Road
Protected Area
River
Sparse Forest
Deep Forest
Mountain
Settlement
Road
1:30,000



დანართი 2: წაჩხურის საფეხმავლო ბილიკი

წაჩხურის ბილიკი:

მთავარი სანახაობები: წაჩხურის მთავარანგელოზის სახელობის მონასტერი > თხოპრას ჩანჩქერი > ხირზენის ტბა

მუნიციპალიტეტი: მარტვილი

მარშრუტით გათვალისწინებული რეკომენდირებული პერიოდი: აპროლი - ოქტომბერი

მარშრუტის სახეობა: საფეხმავლო

მარშრუტის სირთულის კატეგორია: საშუალო

მარშრუტის ტიპი: ცალმხრივი

მარშრუტის სიგრძე: 6.5 კმ. (წაჩხურის ეკლესია, ხირზენის ტბა)

მარშრუტის დაფარვის სავარაუდო ხანგრძლივობა: 3 საათი

მარშრუტის სიმაღლეები ზღვის დონიდან მინიმალური / მაქსიმალური / საშუალო: 580/1037/790 მ.

ჯამური აღმართი / დაღმართი: 611/589 მ.

მარშრუტზე გადაადგილების საშუალება: საფეხმავლო ბილიკი

ფიჭური ქსელის დაფარვის ზონა: ფიჭური კავშირი ხელმისაწვდომია მცირე მონაკვეთებზე.

სასმელი და ტექნიკური წყლის არსებობა მარშრუტზე: მარშრუტზე ვერ შეხვდებით სასმელი წყალის ობიექტებს, საჭიროა წინასწარ მარაგის შევსება. თუმცა, ბილიკი უმეტეს მონაკვეთზე მიუყვება მდინარეს და ნაკადულებს.

მარშრუტის აღწერა:

ტურისტული ბილიკი მოიცავს, მარტვილის მუნიციპალიტეტში არსებულ, უნიკალურ ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობებს. ბილიკზე მოსულ ვიზიტორს, შეუძლია მოინახულოს წაჩხურის მთავარანგელოზის სახელობის მონასტერი, მონასტრიდან 500 მეტრით დაშორებული თხოპრას ჩანჩქერი და ხირზენის ტბა. საწყისი წერტილიდან - მონასტრიდან საბოლო მონაკვეთამდე ტბამდე ასასვლელად 3 კილომეტრის გავლა არის საჭირო. საფეხმავლო გზა ძირითადად კირქოვანი და გრუნტის გზის სახით არის

წარმოდგენილი. ბილიკის მიმდებარე არეალები მდიდარია ბიომრავალფეროვნებით. ტერიტორიაზე ძირითადად წარმოდგენილია წიფლნარ-რცხილნარი, ასევე წარმოდგენილია კოლხური ტყის ტიპები შქერის და მაყვლის საფარით. განსაკუთრებით აღსანიშნია ბილიკის საბოლოო ლოკაცია, ხირზენის ტბა, რომელიც მდებარეობს შუაგულ ტყეში. აქ ტყის საფარი ნაპირიდანვე იწყება შქერის ქვეტყით. მსგავსი სახის ტბა ძალიან იშვიათია და ეკოტურისტული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენს. ტბის სარკის ფართობი დაახლოებით 5000 კვ.მ-ს შეადგენს. აღსანიშნია ტბის მიმდებარედ არსებული ორი მცირე ზომის ტბა, რომლებიც ასევე უნიკალურია როგორც ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით, ისე სილამაზით.

ბილიკზე ვიზიტისას შეგიძლიათ ისარგებლოთ კეთილმოწყობილი საპიკნიკეთი, რომელიც შეგხვდებათ წაჩხურის მონასტრიდან ჩანჩქერისკენ მიმავალ ბილიკზე.


ნაჩხურის ტურისტული ბილიკი
N
W
E
S
280500
281250
282000
282750
4717000
4716250
4715500
4714750
4714000
ხირზენის ტბა
901
ნობულევი
თხოპრას (წანხურის) ჩანჩქერი
მდ. თხოპრა
წანხურის ეკლესია
651
ნაჩხური
443
ვახა
ლეგენდა
საფეხმავლო ბილიკი
მდინარე
სანყისი წერტილი
ტბა
ჩანჩქერი
მეჩხერი ტყე
საპიკნიკე
ხშირი ტყე
ეკლესია
მნვერვალი
გზა
დასახლება
1:10,000


Tsachkhuri Tourist Trails
N
W
E
S
Khirzeni Lake
901
Nobulevi
Tkhopra (Tsachkhuri) Waterfall
Rv. Tkhopra
Tsachkhuri Church
651
Tsachkhuri
443
Vakha
Legend
Hiking Trail
Starting Place
Waterfall
Picnic Area
Church
Road
River
Lake
Sparse Forest
Deep Forest
Mountain
Settlement
1:10,000
280500
281250
282000
282750
4717000
4716250
4715500
4714750
4714000





დანართი 3: ველო ბილიკი #1

მუნიციპალიტეტი: მარტვილი

მარშრუტით გათვალისწინებული რეკომენდირებული პერიოდი: მარტი - ნომებერი

მარშრუტის სახეობა: საველოსიპედო

მარშრუტის სირთულის კატეგორია: მარტივი

მარშრუტის ტიპი: ცალმხრივი

მარშრუტის სიგრძე: 5.5 კმ. (ქ. მარტვილის ცენტრი, მარტვილის კანიონი)

მარშრუტის დაფარვის სავარაუდო ხანგრძლივობა: 20 წუთი

მარშრუტის სიმაღლეები ზღვის დონიდან მინიმალური / მაქსიმალური / საშუალო: 181/254/215 მ.

ჯამური აღმართი / დაღმართი: 109/68 მ.

მარშრუტზე გადაადგილების საშუალება: ველოსიპედი, საფეხმავლო, საავტომობილო

ფიჭური ქსელის დაფარვის ზონა: ფიჭური კავშირი ხელმისაწვდომია ყველა მონაკვეთზე

სასმელი და ტექნიკური წყლის არსებობა მარშრუტზე: მარშრუტზე შეხვდებით სასმელი წყალის ობიექტებს, როგორც წყაროებს, ასევე მარკეტებს სადაც შეგიძლიათ შეიძინოთ წყალი

შენიშვნა:

ველო ბილიკი მიუყვება საავტომობილო გზას. გადაადგილება ძირითადად შესაძლებელია მოასფალტებული გზის გვერდებზე, თუმცა ზოგიერთ მონაკვეთზე შესაძლოა საჭირო გახდეს ასფალტის გზაზე გადასვლა, რა დროსაც საჭიროა უსაფრთხოების ნორმების დაცვა. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ზემოაღნიშნული ფაქტი განსაკუთრებით ღამით გადაადგილებისას, გამოიყენოთ სპეციალური აღჭურვილობები, რათა შესამჩნევი იყოთ ავტომობილის მძღოლებისთვის.

მარშრუტის აღწერა:

მარტვილის ცენტრიდან, მარტვილის კანიონის მიმართულებით გადაადგილების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას ველოსიპედი წარმოადგენს. ველო ბილიკის მონაკვეთი წარმოდგენილია შედარებით მარტივ რელიეფზე, შესაბამისად, მარშრუტის დაფარვა არ იქნება სირთულეებთან დაკავშირებული ველოსიპედისტისთვის. ბილიკის დაფარვა

შესაძლებელი იქნება განსაკუთრებული ფიზიკური მომზადების და განსაკუთრებული ტექნიკური მახასიათებლების მქონე ველოსიპედის გარეშეც.

კანიონზე მისულ ველოსიპედისტს, შეუძლია დაბრუნდეს უკან მარტვილის ცენტრში, ან განაგრძოს მოძრაობა მეორე ველო ბილიკზე კაღუს ჩანჩქერის მიმდებარედ.

ასევე, ველო ბილიკის ლოკაციები დაკავშირებულია საფეხმავლო ბილიკებთან. მარტვილის კანიონზე მისულ ველოსიპედისტს შეუძლია ესტუმროს ონიორეს ჩანჩქერის საფეხმავლო ბილიკს, სადაც ექნება საშუალება ნახოს უნიკალური ბუნება, ისარგებლოს კეთილმოწყობილი საპიკნიკეებით და დააკვირდეს ფრინველებს სპეციალური ფრინველებზე დასაკვირვებელი კოშკურიდან.


ველო ბილიკების რუკა
284000
286000
288000
290000
4708000
4706000
4704000
4702000
4700000
4698000
N
S
W
E
ლეგენდა
ველო ბილიკი 1 - 5.5 კმ.
ველო ბილიკი 2 - 6.7 კმ.
სანყისი წერტილი
ჩანჩქერი
საპიკნიკე
ფრინველებზე დასაკვირვებელი კოშკურა
ეკლესია
მოსაკარი გზა
დაცული ტერიტორია
მდინარე
მერხური ტყე
ხშირი ტყე
მწვერვალი
დასახლება
გზა
1:30,000


Bicycle Trail
284000
286000
288000
290000
4708000
4706000
4704000
4702000
4700000
4698000
N
S
W
E
Kaghu Waterfall
Balda Canyon Natural Monumant
Balda Monastery
Patara tamakoni
Pi Veli balda
Oniore Waterfall Natural Monumant
Oniore Waterfall
Toba Waterfall Natural Monumant
Skurdi
Gachedili
Lebache
Patara inchkhuri
Martvili Canyon Natural Monument
Didi inchkhuri
Kvaiti
Martvili
Sukhcha
Zemo khuntsi
Matkhoji
1:30,000
Legend
Bicycle Trail 1 - 5.5 km.
Bicycle Trail 2 - 6.7 km.
Starting Place
Waterfall
Picnic Area
Bird Watching Tower
Church
Main Road
Protected Area
River
Sparse Forest
Deep Forest
Mountain
Settlement
Road

დანართი 4: ველო ბილიკი:

მუნიციპალიტეტი: მარტვილი

მარშრუტით გათვალისწინებული რეკომენდირებული პერიოდი: მარტი - ნომებერი

მარშრუტის სახეობა: საველოსიპედო

მარშრუტის სირთულის კატეგორია: მარტივი

მარშრუტის ტიპი: ცალმხრივი

მარშრუტის სიგრძე: 6.7 კმ. (მარტვილის კანიონი, კაღუს ჩანჩქერი)

მარშრუტის დაფარვის სავარაუდო ხანგრძლივობა: 30 წუთი

მარშრუტის სიმაღლეები ზღვის დონიდან მინიმალური / მაქსიმალური / საშუალო: 235/368/299 მ.

ჯამური აღმართი / დაღმართი: 176/298 მ.

მარშრუტზე გადაადგილების საშუალება: ველოსიპედი, საფეხმავლო

ფიჭური ქსელის დაფარვის ზონა: ფიჭური კავშირი ხელმისაწვდომია უმეტეს მონაკვეთზე

სასმელი და ტექნიკური წყლის არსებობა მარშრუტზე: მარშრუტზე შეხვდებით სასმელი წყალის ობიექტებს, როგორც წყაროებს, ასევე მარკეტებს სადაც შეგიძლიათ შეიძინოთ წყალი

შენიშვნა:

ველო ბილიკი მიუყვება საავტომობილო გზას. გადაადგილება ძირითადად შესაძლებელია მოასფალტებული გზის გვერდებზე, თუმცა ზოგიერთ მონაკვეთზე შესაძლოა საჭირო გახდეს ასფალტის გზაზე გადასვლა, რა დროსაც საჭიროა უსაფრთხოების ნორმების დაცვა. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ზემოაღნიშნული ფაქტი განსაკუთრებით ღამით გადაადგილებისას, გამოიყენოთ სპეციალური აღჭურვილობები, რათა შესამჩნევი იყოთ ავტომობილის მძღოლებისთვის.

მარშრუტის აღწერა:

აღნიშნული მარშრუტი წარმოადგენს პირველი ველო ბილიკის გაგრძელებას. მარტვილის კანიონზე მოსულ ველოსიპედისტს შეუძლია განაგრძოს გზა კაღუს ჩანჩქერისკენ. რელიეფი შედარებით რთულდება, თუმცა ველო ბილიკის ამ

მონაკვეთზეც შესაძლებელია გადაადგილება განსაკუთრებული ფიზიკური მომზადებისა და განსაკუთრებული ტექნიკური მახასიათებლების მქონე ველოსიპედის გარეშეც.

მარტვილის კანიონიდან წამოსულ ველოსიპედისტს კაღუს ჩანჩქერამდე, გზად შეუძლია მოინახულოს ბალდის მამათა მონასტერი და ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია სოფელ ბალდაში. ასევე ბალდის კანიონი, რომელიც გამოირჩევა უნიკალური ბუნებით. ველო ბილიკის საბოლოო მონაკვეთიც გამოირჩევა განსაკუთრებული სილამაზით, კაღუს ჩანჩქერი დიდ აღფრთოვანებას იწვევს ვიზიტორებში.

ასევე, ველო ბილიკის ლოკაციები დაკავშირებულია საფეხმავლო ბილიკებთან. ველოსიპედისტს შეუძლია ესტუმროს ონიორეს ჩანჩქერის საფეხმავლო ბილიკს, სადაც ექნება საშუალება ნახოს უნიკალური ბუნება, ისარგებლოს კეთილმოწყობილი საპიკნიკეებით და დააკვირდეს ფრინველებს სპეციალური ფრინველებზე დასაკვირვებელი კოშკურიდან.


ველო ბილიკების რუკა
284000
286000
288000
290000
4708000
4706000
4704000
4702000
4700000
4698000
N
S
W
E
ბალდის ბონასტერი
ბალდა
ბალდის ბონასტერის ბუნების ძეგლი
ბალდის ბანქერი
ბალდის ბანქერის ბუნების ძეგლი
ბალდის ბანქერის ბუნების ძეგლი
ბალდის ბანქერის ბუნების ძეგლ


Bicycle Trail
284000
286000
288000
290000
4708000
4706000
4704000
4702000
4700000
4698000
N
S
W
E
Kaghu Waterfall
Balda Canyon Natural Monumant
Balda Monastery
Patara tamakoni
Pi Veli balda
Oniore Waterfall Natural Monumant
Oniore Waterfall
Toba Waterfall Natural Monumant
Skurdi
Gachedili
Lebache
Patara inchkhuri
Martvili Canyon Natural Monument
Didi inchkhuri
Kvaiti
Martvili
Sukhcha
Zemo khuntsi
Matkhoji
1:30,000
Legend
Bicycle Trail 1 - 5.5 km.
Bicycle Trail 2 - 6.7 km.
Starting Place
Waterfall
Picnic Area
Bird Watching Tower
Church
Main Road
Protected Area
River
Sparse Forest
Deep Forest
Mountain
Settlement
Road

დანართი 5: ბალდა-კაღუს ეკოსაგანმანათლებლო ბილიკი:

მთავარი სანახაობები: ბალდის მონასტერი > ბალდის კანიონის ბუნების ძეგლი > კაღუს ჩანჩქერი

მუნიციპალიტეტი: მარტვილი

მარშრუტით გათვალისწინებული რეკომენდირებული პერიოდი: მარტი - ნოემბერი

მარშრუტის სახეობა: საფეხმავლო

მარშრუტის სირთულის კატეგორია: მარტივი

მარშრუტის ტიპი: ცალმხრივი

მარშრუტის სიგრძე: 3.4 კმ. (ბალდის მონასტერი - კაღუს ჩანჩქერი)

მარშრუტის დაფარვის სავარაუდო ხანგრძლივობა: 1 საათი

მარშრუტის სიმაღლეები ზღვის დონიდან მინიმალური / მაქსიმალური / საშუალო: 319/368/345 მ.

ჯამური აღმართი / დაღმართი: 245/247 მ.

მარშრუტზე გადაადგილების საშუალება: საფეხმავლო ბილიკი

ფიჭური ქსელის დაფარვის ზონა: ფიჭური კავშირი ხელმისაწვდომია უმეტეს მონაკვეთებზე.

სასმელი და ტექნიკური წყლის არსებობა მარშრუტზე: ეკოსაგანმანათლებლო მარშრუტზე შეხვდებით წყაროს.

შენიშვნა:

ეკოსაგანმანათლებლო ბილიკზე გავლისას, შეგიძლიათ მოინახულოთ ბალდის კანიონის ბუნების ძეგლი, რომელიც წარმოადგენს დაცულ ტერიტორიას. დაცულ ტერიტორიაზე გადაადგილებისას აუცილებელია დაიცვათ შესაბამისი ქცევის ნორმები.

მარშრუტის აღწერა:

ეკო საგანმანათლებლო ბილიკის მთავარ, საკვანძო წერტილებს წარმოადგენს ბალდის მამათა მონასტერი, ბალდის კანიონი, კაღუს ჩანჩქერი და მდ. აბაშის სანაპირო.

ბილიკზე მისული ვიზიტორები, შეიტყობენ ინფორმაციას აღნიშნულ ისტორიულ-კულტურულ ძეგლზე, რომელიც ხშირად მონახულებად ადგილს წარმოადგენს მარტვილის მუნიციპალიტეტში. საგანმანათლებლო ბილიკზე ვიზიტისას შესაძლებელი იქნება ბალდის კანიონის ბუნების ძეგლის დათვალიერება, რომელიც ეკო საგანმანათლებლო თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი ობიექტია. კანიონი წარმოადგენს მდ. აბაშის მიერ, ასხის მასივის სამხრეთ ნაწილში, კირქვულ ქანებში გამომუშავებულ კანიონს. კანიონის სიგრძე დაახლოებით 1400 მ-ია, სიგანე 5-10 მ, ხოლო ჩაჭრის სიღრმე საშუალოდ 25-30 მ.

ბალდის კანიონი უნიკალურია როგორც ვიზუალური ასევე ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით.

კანიონის მონახულების და ინფორმაციის მიღების შემდეგ, გზა გრძელდება კაღუს ჩანჩქერამდე, რომელიც წარმოდგენილია მდ. აბაშას პირას. აღნიშნული ლოკაციაც იქნება მონაკვეთი, სადაც შესაძლებელია გაჩერება და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება მისული ვიზიტორთათვის. კაღუს ჩანჩქერიდან ჩრდილოეთით 150 მეტრში წარმოდგენილია მდ. აბაშის მარცხენა შენაკადის, მდ. ტობას გადაკვეთის მონაკვეთი, სადაც ასევე შესაძლებელია ცნობიერების ამაღლება ჰიდროლოგიური თვალსაზრისით.


ბალდა - კალუ ეკოსაგანმანათლებლო ბილიკი
284000
286000
288000
290000
4710000
4708000
4706000
4704000
4702000
4700000
N
S
W
E
მესამე ბალდა
მეორე ბალდა
ბალდის მონასტერი
კალუს ნანქერი
ონიორეს ნანქერი
პატარა თამაკონი
პირველი ბალდა
ბაკეთილი
ლებანე
პატარა ინნხური
დიდი ინნხური
ქვაითი
ლეგენდა
ეკოსაგანმანათლებლო ბილიკი
საფეხმავლო ბილიკი
სანყისი წერტილი
ნანქერი
საპიკნიკე
ფრინველებზე დასაკვირვებელი კოშკური
ეკლესია
მთავარი გზა
დაცული ტერიტორია
მდინარე
მენხური ტყე
ხშირი ტყე
მწვერვალი
დასახლება
გზა
1:30,000


Balda - Kaghu Eco Education Trail
284000
286000
288000
290000
4710000
4708000
4706000
4704000
4702000
4700000
N
S
W
E
Mesame balda
Meore balda
Balda Canyon Natural Monumant
Kaghu Waterfall
Balda Monastery
Oniore Waterfall Natural Monumant
Patara tamakoni
Pirveli balda
Skurdi
Oniore Waterfall
Toba Waterfall Natural Monumant
Gachedili
Lebache
Patara inchkhuri
Martvili Canyon Natural Monument
Didi inchkhuri
Kvaiti
Sukhcha
Legend
Eco Education Trail
Hiking Trail
Starting Place
Waterfall
Picnic Area
Bird Watching Tower
Church
Main Road
Protected Area
River
Sparse Forest
Deep Forest
Mountain
Settlement
Road
1:30,000


ბალდა - კაღუ ეკოსაგანმანათლებლო ბილიკი
Balda - Kaghu Eco Education Trail
Balda Canyon
Natural Monument
ბალდის კანიონის
ბუნების ძეგლი
ლეგენდა / Legend
ეკოსაგანმანათლებლო ბილიკი - 3.3 კმ
Eco education trail - Length 3.3 Km
დაცული ტერიტორია
Protected area
ბალდის მონასტერი
Balda Monastery
კაღუს ნანჩქერი
Kaghu Waterfall
1:7,500
287000
287500
288000
288500
4708000
4707500
4707000



დანართი 6: წაჩხურის ეკოსაგანმანათლებლო ბილიკი

მუნიციპალიტეტი: მარტვილი

მარშრუტით გათვალისწინებული რეკომენდირებული პერიოდი: აპრილი - ოქტომბერი

მარშრუტის სახეობა: საფეხმავლო

მარშრუტის სირთულის კატეგორია: მარტივი

მარშრუტის ტიპი: ცალმხრივი

მარშრუტის სიგრძე: 1.3 კმ. (წაჩხურის ეკლესია -თხოპრას ჩანჩქერი)

მარშრუტის დაფარვის სავარაუდო ხანგრძლივობა: 30 წუთი

მარშრუტის სიმაღლეები ზღვის დონიდან მინიმალური / მაქსიმალური / საშუალო: 579/658/610 მ.

ჯამური აღმართი / დაღმართი: 130/130 მ.

მარშრუტზე გადაადგილების საშუალება: საფეხმავლო ბილიკი

ფიჭური ქსელის დაფარვის ზონა: ფიჭური კავშირი ხელმისაწვდომია უმეტეს მონაკვეთებზე.

სასმელი და ტექნიკური წყლის არსებობა მარშრუტზე: ეკოსაგანმანათლებლო მარშრუტზე შეხვდებით წყაროს.

შენიშვნა:

ეკოსაგანმანათლებლო ბილიკზე გადაადგილებისას, წაჩხურის ჩანჩქერთან მისასვლელ მონაკვეთზე ძირითადად წარმოდგენილია კირქვოვანი სტრუქტურის ბილიკი, სადაც საჭიროა მაქსიმალური ყურადღება რათა არ გაგიცურდეთ ფეხი, განსაკუთრებით კი მაშინ როცა ბილიკი სველია.

ურადღება! განსაკუთრებული სიფრთხილე არის საჭირო ჩანჩქერთან მისასვლელ მონაკვეთზე გადაადგილებისას, რათა არ გაგიცურდეთ ფეხი და არ მიიღოთ დაზიანება.

მარშრუტის აღწერა:

წაჩხურის (ხირზენის) საფეხმავლო ეკო-საგანმანათლებლო ბილიკი შეირჩა მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურში, სალხინოს თემში, ხირზენის კალთაზე, სადაც მდებარეობს წაჩხურის მთავარანგელოზის სახელობის მონასტერი. ბილიკის საწყის

წერტილს სწორედ ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს, ხოლო საბოლოო მონაკვეთს თხოპრას ჩანჩქერი.

ბილიკზე გადასაადგილებლად მარტივი, კირქვოვანი სტრუქტურის ზედაპირია წარმოდგენილი. ეკლესიის მიმდებარედ შერჩეულია რეკრეაციული ადგილი, შესაბამისად, მისულ ვიზიტორებს საშუალება ექნებათ კეთილმოწყობილი საპიკნიკეთი სარგებლობა. წარმოდგენილი ეკოსაგანმანათლებლო ბილიკიც გათვლილია სკოლის მოსწავლეებზე, რომლებიც ვიზიტისას გაეცნობიან როგორც ისტორიულ-კულტურულ ძეგლს, ასევე მოინახულებენ ჩანჩქერს და დააკვირდებიან ტერიტორიაზე წარმოდგენილ ბიომრავალფეროვნებს. შერჩეული მონაკვეთი ასევე იძლევა საშუალებას ვიზიტორმა მოინახულოს ბილიკის მიმდებარედ წარმოდგენილი არეალები, რაც გარემოს დაცვითი განათლების კუთხით მნიშვნელოვანია. წაჩხურის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიიდან იშლება ულამაზესი ხედი ეგრისის ქედზე და ოდიშის პლატოზე, საიდანაც მოჩანს გეოგრაფიული ობიექტები, რომლებიც, ეკოსაგანმანათლებლო თვალსაზრისით საყურადღებოა.


ნაჩხურის ეკოსაგანმანათლებლო ბილიკი
N
W
E
S
280500
281250
282000
282750
4717000
4716250
4715500
4714750
4714000
ხირზენის ტბა
901
ნობულევი
თხოპრას (ნაჩხურის) ჩანჩქერი
მდ. თხოპრა
ნაჩხურის ეკლესია
651
ნაჩხური
443
ვახა
ლეგენდა
ეკოსაგანმანათლებლო ბილიკი
საფეხმავლო ბილიკი
მდინარე
სანყისი წერტილი
ტბა
ჩანჩქერი
მეჩხერი ტყე
საპიკნიკე
ხშირი ტყე
ეკლესია
მწვერვალი
გზა
დასახლება
1:10,000


Tsachkhuri Eco Education Trail
280500
281250
282000
282750
4717000
4716250
4715500
4714750
4714000
N
W
E
S
Khirzeni Lake
901
Nobulevi
Tkhopra (Tsachkhuri) Waterfall
Rv. Tkhopra
Tsachkhuri Church
651
Tsachkhuri
443
Vakha
Legend
Eco Education Trail
Hiking Trail
Starting Place
Waterfall
Picnic Area
Church
Road
River
Lake
Sparse Forest
Deep Forest
Mountain
Settlement
1:10,000


 წაჩხურის ეკოსაგანმანათლებლო ბილიკი
Tsachkhuri Eco Education Trail
281500
281750
282000
282250
4715500
4715250
4715000
N
S
E
W
ლეგენდა / Legend
ეკოსაგანმანათლებლო ბილიკი - 1.3 კმ
Eco education trail - Length 1.3 Km
ნაჩხურის მთავარანგელოზის ეკლესია
Tsachkhuri Archangel Church
თხოპრა (ნაჩხურის) წანჩქერი
Tkhopra (Tsachkhuri) Waterfall
საპიკნიკე
Picnic Area
1:3,500

დანართი 7: რეკრეაციული ადგილი 1




Oniore Waterfall Tourist Trails
284000
286000
288000
290000
4710000
4708000
4706000
4704000
4702000
4700000
N
S
W
E
Mesame balda
Meore balda
Balda Canyon Natural Monumant
Kaghu Waterfall
Balda Monastery
Oniore Waterfall Natural Monumant
Patara tamakoni
Pirveli balda
Skurdi
Oniore Waterfall
Gachedili
Toba Waterfall Natural Monumant
Lebache
Patara inchkhuri
Martvili Canyon Natural Monument
Didi inchkhuri
Kvaiti
Sukhcha
Legend
Hiking Trail
Your Location
Waterfall
Picnic Area
Bird Watching Tower
Church
Main Road
Protected Area
River
Sparse Forest
Deep Forest
Mountain
Settlement
Road
1:30,000

ტექსტი1

ონიორის ჩანჩქერისა და ტობის პირველი მღვიმის ბუნები ძეგლების კომპლექსი წარმოადგენს ტობა პირველის მღვიმისა და მისგან გადმომავალი ონიორეს ჩანჩქერის ერთობლიობას, რომელიც იშვიათ და ულამაზეს სანახაობას ქმნის.

მღვიმე გამომუშავებულია ზედაცარცულ შრეებრივ კირქვებში. შესასველეი (12X5 მ) ქარაფის გასწვრივ იხსნება. შესასვლელიდან 70 მეტრში 21 მ. სიმაღლის მიწისქვეშა ჩანჩქერია, სადაც ჭერის სიმაღლე 30 მეტრზე მეტია. ცალკეულ ადგილას გვირაბის სიგანე 12-15 მეტრს აღწევს.

მღვიმიდან გამომავალი მიწისქვეშა მდინარე 15 მეტრში, 67 მ. სიმაღლის ონიორეს ჩანჩქერს წარმოქნის.

დანართი 8: რეკრეაციული ადგილი 2

ყურადღება! თქვენ იმყოფებით დაცულ ტერიტორიაზე.

დაცული ტერიტორიები იქმნება უმნიშვნელოვანესი ეროვნული მემკვიდრეობის – უნიკალური, იშვიათი და დამახასიათებელი ეკოსისტემების, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად, მათი სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რეკრეაციული და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების მიზნით.

თქვენ იმყოფებით დაცული ტერიტორიის III კატეგორიაში - ონიორეს ჩანჩქერის და ტობის I მღვიმის ბუნების ძეგლებისს ტერიტორიაზე. ბუნების ძეგლის უმთავრეს ფუნქციას, უნიკალური ბუნებრივი ტერიტორიებისა და იშვიათი ბუნებრივი და ბუნებრივ-კულტურული წარმონაქმნების დაცვა წარმოადგენს. ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დანიშნულება ეკოტურიზმი და მასთან დაკავშირებული აქტივობაა.

ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (The International Union for Conservation of Nature - IUCN) ოფიციალური განმარტებით, ეკოტურიზმი განისაზღვრება, როგორც მაღალი ეკოლოგიური პასუხისმგებლობის მოგზაურობა და სტუმრობა შედარებით ხელუხლებელ ბუნებრივ გარემოში, დასასვენებლად, სასწავლებლად, ბუნების შესაგრძნობად, რაც ხელს უწყობს ბუნების კონსერვაციას და აქვს დაბალი ტურისტული ზეგავლენა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია გაითვალისწინოთ ვიზიტორთა ქცევის წესები. დაცული ტერიტორიების მონაკვეთზე ვიზიტორს ეკრძალება:

ნადირობა, თევზაობა, ცეცხლსასროლი იარაღისა და სხვა ისეთი მოწყობილობების შეტანა, რაც საფრთხეს უქმნის გარემოს.

ვანდალური მოქცევა ბუნებისა და ინფრასტრუქტურისადმი, ხეებზე, კლდეებსა და ქვებზე წარწერების გაკეთება.

გარემოს დაბინძურება

შინაური ცხოველების თანხლება

ყვირილი და ხმამაღალი საუბარი

ცეცხლის დანთება (სპეციალურად გამოყოფილი ადგილის გარდა)

და სხვა კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობები.



დანართი 9: რეკრეაციული ადგილი 3





ტექსტი1

ტობას ჩანჩქერისა და არსენ ოქროჯანაშვილის მღვიმის ბუნების ძეგლების კომპლექსი წარმოადგენს არსენ ოქროჯანაშვილის (ტობა II) მღვიმისა და მისგან გადმომავალი

ტობას კასკადოვანი ჩანჩქერის ერთობლიობას, რომელიც იშვიათ და ულამაზეს სანახაობას ქმნის.

მღვიმე ძნელად მისადგომია და სპეციალური აღჭურვილობის გარეშე იქ ასვლა არ არის რეკომენდებული, ხოლო შიგნით სამოგზაუროდ საჭიოა რეზინის ნავი. გამომუშავებულია ზედაცარცულ შრეებრივ კირქვებში. შესასველეი (15X20 მ) ქარაფის გასწვრივ იხსნება. სამ იარუსიანი, მრავალგანშტოებიან მღვიმეში რამდენიმე დარბაზია. მათ შორის გამოირჩევა: „ნონას დარბაზი“, „ნანას დარბაზი“, „სალონი“, „უნივერსიტეტი 50“, „ტბიანი“ და სხვა დარბაზები. ქიმიური ნალექები მრავალფეროვანი ფორმებით არის წარმოდგენილი. ერთ-ერთი სტალაგმიტის სიმარლე 7 მ აღწევს. მღვიმის ჯამური სიგრძით 1300 მ-ია.

მღვიმიდან გამომავალი მდინარე, რომელიც მიწისქვეშ 4 ტბას აჩენს, წარმოქნის 234 მ სიმაღლის, (საქართველოში ყველაზე მაღალი) ტობას კასკადური ჩანჩქერს.

დანართი 10: რეკრეაციული ადგილი 4

ტექსტი2

ყურადღება! თქვენ იმყოფებით დაცულ ტერიტორიაზე.

დაცული ტერიტორიები იქმნება უმნიშვნელოვანესი ეროვნული მემკვიდრეობის – უნიკალური, იშვიათი და დამახასიათებელი ეკოსისტემების, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად, მათი სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რეკრეაციული და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების მიზნით.

თქვენ იმყოფებით დაცული ტერიტორიის III კატეგორიაში - ტობას ჩანჩქერის და არსენ ოქროჯანაშვილის მღვიმის ბუნების ძეგლების ტერიტორიაზე. ბუნების ძეგლის უმთავრეს ფუნქციას, უნიკალური ბუნებრივი ტერიტორიებისა და იშვიათი ბუნებრივი და ბუნებრივ-კულტურული წარმონაქმნების დაცვა წარმოადგენს. ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დანიშნულება ეკოტურიზმი და მასთან დაკავშირებული აქტივობაა.

ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (The International Union for Conservation of Nature - IUCN) ოფიციალური განმარტებით, ეკოტურიზმი განისაზღვრება, როგორც მაღალი ეკოლოგიური პასუხისმგებლობის მოგზაურობა და სტუმრობა შედარებით ხელუხლებელ ბუნებრივ გარემოში, დასასვენებლად, სასწავლებლად, ბუნების შესაგრძნობად, რაც ხელს უწყობს ბუნების კონსერვაციას და აქვს დაბალი ტურისტული ზეგავლენა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია გაითვალისწინოთ ვიზიტორთა ქცევის წესები. დაცული ტერიტორიების მონაკვეთზე ვიზიტორს ეკრძალება:

- ნადირობა, თევზაობა, ცეცხლსასროლი იარაღისა და სხვა ისეთი მოწყობილობების შეტანა, რაც საფრთხეს უქმნის გარემოს.
- ვანდალური მოქცევა ბუნებისა და ინფრასტრუქტურისადმი, ხეებზე, კლდეებსა და ქვებზე წარწერების გაკეთება.
- გარემოს დაბინძურება
- შინაური ცხოველების თანხლება
- ყვირილი და ხმამაღალი საუბარი
- ცეცხლის დანთება (სპეციალურად გამოყოფილი ადგილის გარდა)
- და სხვა კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობები.

დანართი 11: რეკრეაციული ადგილი 5




Tsachkhuri Tourist Trails
280500
281250
282000
282750
4717000
4716250
4715500
4714750
4714000
N
S
W
E
Khirzeni Lake
901
Nobulevi
Tkhopra (Tsachkhuri)
Waterfall
Rv. Tkhopra
Tsachkhuri
Church
651
Tsachkhuri
443
Vakha
Legend
Hiking Trail
Starting Place
Waterfall
Picnic Area
Church
Road
River
Lake
Sparse Forest
Deep Forest
Mountain
Settlement
1:10,000

წაჩხურის (ხირზენის) საფეხმავლო ბილიკი შეირჩა მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურში, სალხინოს თემში, ხირზენის კალთაზე, სადაც მდებარეობს წაჩხურუს მთავარანგელოზის სახელობის მამათა მონასტერი. წაჩხურუს ტაძარს მოსკე - წაჩხურუს ეძახიან, რაც მეძევეს ნიშნავს. იგი აგებულია VII საუკუნეში, თუმცა ჩვენამდე განახლებული, მე-18 საუკუნეში აგებული დარბაზული ტიპის ეკლესიაა მოღწეული. ტაძარში წირვა-ლოცვა მე-20 საუკუნის დასაწყისიდან აღარ აღევლინებოდა, თუმცა ღვთისმსახურება აქ 90-იან წლებში აღდგა.

წარმოდგენილ ლოკაციაზე მოსულ ვიზიტორს, ისტორიულ-კულტურული ძეგლის გარდა, საშუალება აქვს მოინახულოს უნიკალური ბუნება. საპიკნიკის მიმდებარედ იხილავთ თხოპრას ჩანჩქერს, რომელიც აღფრთოვანებას იწვევს მისულ ვიზიტორებში. ლაშქრობის მოყვარულებს, შეუძლიათ ისარგებლონ მარკირებული ბილიკით, რომლის საბოლოო ლოკაციას ხირზენის ტბა წარმოადგენს. ტბის ნაპირებიდანვე იწყება კოლხური ტიპის ტყე, რაც ტბის უნიკალურობას განაპირობებს. ტბისკენ მიმავალი ბილიკის ყველა მონაკვეთი განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც ლანდშაფტურად, ასევე ბიომრავალფეროვნებით, რის გამოც ბილიკზე ლაშქრობა საინტერესო იქნება ვიზიტორთათვის.


ნაჩხურის ტურისტული ბილიკი
280500
281250
282000
282750
4717000
4716250
4715500
4714750
4714000
N
S
W
E
ხირზენის ტბა
901
ნობულევი
თხოპრას (წანხურის) ჩანჩქერი
მდ. თხოპრა
წანხურის ეკლესია
651
ნაჩხური
443
ვახა
ლეგენდა
საფეხმავლო ბილიკი
მდინარე
სანყისი წერტილი
ტბა
ჩანჩქერი
მეჩხერი ტყე
საპიკნიკე
ხშირი ტყე
ეკლესია
მნვერვალი
გზა
დასახლება
1:10,000

წაჩხურის (ხირზენის) საფეხმავლო ბილიკი შეირჩა მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურში, სალხინოს თემში, ხირზენის კალთაზე, სადაც მდებარეობს წაჩხურუს მთავარანგელოზის სახელობის მამათა მონასტერი. წაჩხურუს ტაძარს მოსკე - წაჩხურუს ეძახიან, რაც მეძევეს ნიშნავს. იგი აგებულია VII საუკუნეში, თუმცა ჩვენამდე განახლებული, მე-18 საუკუნეში აგებული დარბაზული ტიპის ეკლესიაა მოღწეული. ტაძარში წირვა-ლოცვა მე-20 საუკუნის დასაწყისიდან აღარ აღევლინებოდა, თუმცა ღვთისმსახურება აქ 90-იან წლებში აღდგა.

წარმოდგენილ ლოკაციაზე მოსულ ვიზიტორს, ისტორიულ-კულტურული ძეგლის გარდა, საშუალება აქვს მოინახულოს უნიკალური ბუნება. საპიკნიკის მიმდებარედ იხილავთ თხოპრას ჩანჩქერს, რომელიც აღფრთოვანებას იწვევს მისულ ვიზიტორებში. ლაშქრობის მოყვარულებს, შეუძლიათ ისარგებლონ მარკირებული ბილიკით, რომლის საბოლოო ლოკაციას ხირზენის ტბა წარმოადგენს. ტბის ნაპირებიდანვე იწყება კოლხური ტიპის ტყე, რაც ტბის უნიკალურობას განაპირობებს. ტბისკენ მიმავალი ბილიკის ყველა მონაკვეთი განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც ლანდშაფტურად, ასევე ბიომრავალფეროვნებით, რის გამოც ბილიკზე ლაშქრობა საინტერესო იქნება ვიზიტორთათვის.

დანართი 12: ფრინველებზე დასაკვირვებელი კოშკურა

ტექსტი

Birdwatching-ისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი პერიოდი გაზაფხული და შემოდგომაა, როდესაც გადამფრენი ფრინველების მიგრირება იწყება. მსოფლიოში ფრინველებზე დაკვირვება უფრო და უფრო პოპულარული ხდება. ფრინველებზე დაკვირვების, როგორც ტურისტული ატრაქციის განვითარებას დიდი პოტენციალი აქვს საქართველოსაც, რადგან ჩვენ ქვეყანაზე გადის გადამფრენ მტაცებელ ფრინველთა ყველაზე ვიწრო დერეფანი, რომელიც ამავდროულად გამოირჩევა სახეობრივი მრავალფეროვნებითა და ფრინველთა მრავალრიცხოვნობით.

მარტვილის მუნიციპალიტეტი არ გამოირჩევა გადამფრენ ფრინველთა მრავალრიცხოვნობით, თუმცა შესაძლებელია ზოგიერთ სახეობაზე დაკვირვება. ტერიტორიაზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეობას წარმოადგენს ორბი (Gyps fulvus (Hablizl, 1783)), რომლის საბუდარი ადგილებიც მოსჩანს კოშკურიდან. ორბი ფრინველთა გვარი ქორისნაირთა რიგისა. ტანად დიდი ფრინველია. მათი სხეულის სიგრძე 1 მეტრს აღწევს, ფრთების შლილი 2,5 მ, მასა 8 კგ. გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში. ბუდეები როგორც წესი ახლოს მდებარეობენ ერთმანეთთან და ზოგჯერ მცირე დაჯგუფებებს წარმოქმნიან. იკვებება დიდი ცხოველების მძორით. მიუხედავად დიდი ზომისა ცოცხალ ცხოველებს თავს არ ესხმის. ამის მიზეზი ისაა, რომ აღჭურვილია ბლაგვი ბრჭყალებითა და სუსტი ნისკარტით, რომელითაც შეუძლებელია

ცხოველის ტყავის გახევა. ამიტომ მკვდარი ცხოველის ჭამას იწყებს იმ ნაწილიდან, სადაც მისი ტყავი დაზიანებულია. ცხოვრების ასეთი ნირის გამო წარმოადგენს ბუნების სანიტარს. ორბის რიცხოვნობა საქართველოში და მსოფლიოში მცირეა და აქვს მაღალი კონსერვაციული სტატუსი - IUCN Status: LC; National Red list status: VU

კოშკურიდან ფრინველებზე დაკვირვების გარდა შესაძლებელია ტობას კასკადოვანი ჩანჩქერის(234 მ. საქართველოში ყველაზე მაღალი) და არსენ ოქროჯანაშვილის მღვიმის შესასვლელის დანახვა, რომელიც გადმოედინება კლდეში არსებული გამოქვაბულიდან. ასევე, შესაძლებელია პანორამული ხედების დათვალიერება.


ონიორეს ჩანჩქერის ტურისტული ბილიკი
N
S
W
E
284000
286000
288000
290000
4710000
4708000
4706000
4704000
4702000
4700000
მესამე ბალდა
მეორე ბალდა
ბალდის ეკლესიის ეზოს ძველი
ბალდის მონასტერი
ქალეს ჩანჩქერი
ონიორეს ჩანჩქერის ეზოს ძველი
ონიორეს ჩანჩქერი
პატარა თამაკონი
პირველი ბალდა
ბაკეთილი
ლებანე
პატარა ინჭური
დიდი ინჭური
ქვაითი
ლეგენდა
საფეხმავლო ბილიკი
თქვენი ლოკაცია
ჩანჩქერი
საპიკნიკე
ფრინველებზე დასაკვირვებელი კოშკურა
ეკლესია
მთავარი გზა
დაცული ტერიტორია
მდინარე
მენხური ტყე
ხშირი ტყე
მწვერვალი
დასახლება
გზა
1:30,000


Oniore Waterfall Tourist Trails
284000
286000
288000
290000
4710000
4708000
4706000
4704000
4702000
4700000
N
S
W
E
Mesame balda
Meore balda
Balda Canyon Natural Monumant
Kaghu Waterfall
Balda Monastery
Oniore Waterfall Natural Monumant
Oniore Waterfall
Toba Waterfall Natural Monumant
Patara tamakoni
Pirveli balda
Skurdi
Gachedili
Lebache
Patara inchkhuri
Martvili Canyon Natural Monument
Didi inchkhuri
Kvaiti
Sukhcha
Legend
Hiking Trail
Your Location
Waterfall
Picnic Area
Bird Watching Tower
Church
Main Road
Protected Area
River
Sparse Forest
Deep Forest
Mountain
Settlement
Road
1:30,000

დანართი 13: მიმართულებები

#	მიმართულება	N	E	Elevation	ონიორე	სიგრძე (მ)	დრო / საპირისპირო
1	კანიონთან გზის მარცხენა მხარეს მანიშნებელი, ისარი მარჯვნივ (→) მარტივი	42.45742376	42.37723732	235	1-2	830	0.30 / 0.20
2	ასფალტის გზიდან გრუნტის გზაზე გადასასვლელზე, გრუნტის გზის მარცხნივ, ისარი მარჯვნივ (→) მარტივი	42.46418089	42.37514284	255	2-3	3507	1 / 0.50
3	სოფ. პირველი ბალდის ბოლოს, გზის მარჯვენა მხარეს, ისარი მარჯვნივ (→) საშუალო	42.48546837	42.40134573	310	3-4	3231	2.30 / 1.30
4	პანორამულ გადასახედთან, გადასახედის მხარეს, ისარი მარჯვნივ (→) საშუალო	42.48136281	42.43378211	715	4-5	2257	1 / 1.40
5	მდ. ტობასთან, ბილიკის მარჯვენა მხარეს, ისარი მარცხნივ (←) საშუალო	42.47440827	42.45317713	533	5-6	520	0.30 / 0.20
6	ონიორესკენ მიმავალ ბილიკზე, ბილიკის მარჯვენა მხარეს, ისარი მარცხნივ (←) საშუალო	42.47682054	42.4539277	630	6-7	442	0.30 / 0.20
7	ონიორეს ჩანჩქერთან, ისარი მარცხნივ (←) საშუალო	42.47724123	42.45869051	688	7-8	3579	2.30 / 3.30
8	მდ. აბაშასთან, ბილიკის მარჯვენა მხარეს ისარი მარცხნივ (←) მარტივი	42.4919944	42.42805045	335	8-9	225	0.10 / 0.10
9	კაღუს ჩანჩქერთან, ისარი მარჯვნივ (→) მარტივი	42.49121103	42.42579279	344	9-10	1575	1 / 1
10	ბალდის მონასტერთან ბილიკის მარცხენა მხარეს, ისარი მარხნივ (←) მარტივი	42.48817448	42.40920566	330	10-1	5259	1.30
							9.40 /

N	მიმართულება	N	E	Elevation	ონიორე	სიგრძე (მ)	დრო / საპირისპირო
1	(N1) წაჩხურუს მონასტერთან ჩანჩქერისკენ, გზის მარჯვენა მხარეს, ისარი მარხნივ (←) (←) მარტივი	42.55608126	42.34145519	580	1-2	648	0.20 / 0.20
2	ეს ჩანჩქერიდან კოორდინატები	42.56081698	42.34270414	660	2-1	648	0.20 / 0.20
3	წაჩხურუს მონასტერთან, გზის მარჯვენა მხარეს ისარი მარცხნივ ისარი მარხნივ (←) (←) საშუალო	42.55608126	42.34145519	580	1-3	929	1.30 / 1
4	მესამე ლოკაციიდან მეოთხე ლოკაციამდე, ბილიკის მარჯვენა მხარეს, ისარი მარჯვნივ (→) საშუალო	42.56289077	42.34554303	765	3-4	728	0.30 / 0.30
5	მეოთხე ლოკაციიდან მეხუთე ლოკაციამდე, ბილიკის მარჯვენა მხარეს, ისარი მარცხნივ (←) საშუალო	42.56673276	42.35029166	875	4-5	897	0.40 / 0.30
6	მეხუთე ლოკაციიდან ტბისკენ, ბილიკის მარჯვენა მხარეს, ისარი მარცხნივ (←) საშუალო	42.57274893	42.35145357	1020	5-6	452	0.30 / 0.20
7	საბოლოო ლოკაცია	42.57472678	42.3494187	1040	6		
							3.50 / 3

ევროკავშირის ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის ერთობლივი საოპერაციო პროგრამა ტრანსასაზღვრო თანამშრომლობა შავი ზღვის აუზში 2014-2020 (European Union ENI Joint Operational Programme CBC Black Sea Basin 2014-2020)
მასალის რედაქტორი: ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“

პუბლიკაციის თარიღი: 3.12.2019

ერთობლივი საოპერაციო პროგრამა შავი ზღვის აუზი 2014-2020 თანაფინანსირდება ევროკავშირის ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტითა და მონაწილე ქვეყნებით: ბულგარეთი, რუმინეთი, მოლდავეთი, საბერძნეთი, საქართველო, სომხეთი, უკრაინა.

პუბლიკაცია დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. პუბლიკაციის შინაარსზე უშუალოდ პასუხისმგებელია ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“ და მისი შინაარსი არ შეიძლება განხილულ იქნას ევროკავშირის მოსაზრებად.

Project funded by EUROPEAN UNION

Ecotour-net

Black Sea CROSS BORDER COOPERATION